პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ყოველდღიური ფეთილეტონი

საქ. კ. პ. (ბ) სენტ. და ცფ. კომიტეტების და საქ. ხალხის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოს—10—53, მო. კანტორის—8—81.

კვირა 10 ივნისი 1934 წ. № 133 (3989)

ფასი 10 კაპ.

დღეს ნომერში

— **დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის და საბჭოთა კავშირსა და ჩეხია-სლოვაკიას შორის.**

— **ამხ. ლიტვინოვის** გამოსვლა განიარაღების კონფერენციის გენერალური კომისიის სხდომაზე.

— **ერიო** საბჭოთა კავშირის შესახებ.

— **ერთა ლიგის** კომიტეტის მიმართვა ამხ. ლიტვინოვისადმი პარაგვაისა და ბოლივიას შორის კონფლიქტის გამო.

— **მარგანეცის** გამომუშავების გეგმა 7 ივნისს შესრულებულია 93,9 პროცენტით.

ახლა მთავარია ნათესების დამუშავება

1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმა საქართველოში წარმატებით შესრულდა. 54 რაიონიდან საქართველოში 41 რაიონს თესვის გეგმა შესრულებული აქვს **გადაჭარბებით.** რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გრძელდება საგვიანო კულტურების თესვა.

წლევანდელი საგაზაფხულო კამპანიის დამახასიათებელია ის, რომ ხვნა-თესვა ჩატარდა გაცილებით უფრო **მოკლე ვადებში,** ვინემ გასულ წელს. ამასთანავე თესვა ჩატარდა ნიადაგის უკეთესად დამუშავებისა და სავალდებულო აგროწესების უფრო თანმიმდევრობით გატარების პირობებში.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ კოლმეურნეობები და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა მასები, სოფლის პარტიული ორგანიზაციების, პოლიტგანყოფილებების და საბჭოების ხელმძღვანელობით, უფრო და უფრო აძლიერებენ ბრძოლას სოფლის მეურნეობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. თესვის წარმატებით ჩატარება იმის მაჩვენებელია, რომ თანდათან მტკიცდებიან და მაგრდებიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, უმჯობესდება სატრაქტორო პარკის გამოყენება და იზრდება კოლმეურნეთა და მშრომელთა ერთპიროვნულ გლეხთა მასების ინიციატივა.

სოფლის ორგანიზაციების ძირითად საბრძოლო ამოცანას ახლა, რო დესაც თესვის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით არის შესრულებული, წარმოადგენს ნათესების **მოვლა-დამუშავება.** მხოლოდ ნათესების დროული გათოხნა-დამუშავებით, სარეველა ბალახების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლით და ჭირნახულის დაცვით მავნებლებისა და წყნახედებისაგან—შეიძლება წელს თითეული ჰექტარიდან კიდევ უფრო მეტი მოსავლის მიღება, ვინემ მარშან.

მიუხედავად ამისა, ნათესების მოვლას დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა. ფაქტები: ვადები უკვე გავიდა, მაგრამ დღემდე შესრულებული არ არის **ბამბის** პირველი გათოხნის გეგმა. 5 ივნისისათვის **სიმინდის** გათოხნის დავალება რესპუბლიკაში შესრულებული იყო მხოლოდ 17 პროცენტით. **კასპის** რაიონმა სიმინდის თესვა დაიწყო აპრილის მეორე ნახევარში, დამუშავების გეგმა კი შესრულებული აქვს 10 პროცენტით. **ხონის** რაიონმა გათოხნის გეგმა შეასრულა 6 პროცენტით, **სამტრედიისამ**—4 პროცენტით, ხოლო **აფხაზეთმა**—1,5 პროცენტით. სრულიად არ დაუწყიათ სიმინდის **გათოხნა ხობის, ამბროლაურის, წალკის, ბორჩალოს და ყარაიას** რაიონებს.

თამბაქოს პირველი გათოხნის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 6,9 პროცენტით. **ყვარელის** რაიონს თამბაქოს პირველი გათოხნა ჯერ დაწყებულიც არა აქვს და ეს მაშინ, როდესაც იქვე მეზობლად ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს, თამბაქოს გათოხნის გეგმა შესრულებული აქვთ 25 პროცენტით.

საჭირო იყო თესვის დამთავრება სთანავე მთელი ძალების გადასროლა ნათესების დასამუშავებლად, მაგრამ, როგორც ზემოდ მოყვანილ ცნობები მოწმობენ, ბევრგან ასე არ მოხდა. ავიღოთ, მაგალითად, ხონის რაიონი. ხვნა და თესვა აქ წელს სანიმუშოდ ჩატარდა, მაგრამ ნათესების დამუშავება კუს ნაბიჯით მიდის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩამორჩენა ამ რაიონის შემდეგ სასოფლო საბჭოებში: გუბაში, ივანდიდში, კუბაში.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ მთელი რიგი რაიონული პარტიული ორგანიზაციები სათანადო ანგარიშს არ უწევენ **მინდვრის სამუშაოთა მთელი ციკლის დროულად ჩატარების, აუცილებლობას,** და ამგვარად საფრთხეში აყენებენ უხვი მოსავლის აღებას იმ ნაკვეთებიდან, რომელიც დაიხნა და დათესა დროზე.

ჩვენი ქვეყნის სახნავ-სათესი მინდვრები ძალზე დანაგვიანებულია სარეველა ბალახებით. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ადგილობრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობას ნათესების დროულად გათოხნა-დამუშავების დარგში.

კოლმეურნეობების ხაზით ნათესების დამუშავების ვადაზე დამთავრებას წყვეტს მთელი შრომის უნარიანი წევრების გამოყენანა სამუშაოდ და **შრომის მოწესრიგება ბრიგადების შიგნით.** თუ ბრიგადა არ არის მიმაგრებული განსაზღვრულ ნაკვეთზე, თუ ბრიგადის წევრებს აქეთ-იქით ეწევიან და არ არის პერსონალური პასუხისმგებლობა მიცემულ დავალებათა შესრულებისათვის, იქ შეუძლებელია ნათესების დროზე დამუშავების იმედი ვიქონიოთ.

შრომის დისციპლინის განმტკიცებით და ბრიგადების შორის სოცშეჯიბრების კიდევ უფრო გაშლით უნდა მივაღწიოთ ნათესების დამუშავების სანიმუშოდ ჩატარებას კოლმეურნეობებში. ეს კი სავსებით შესაძლებელია, თუ პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტგანყოფილებების მხრივ მინდვრის სამუშაოები უზრუნველყოფილი იქნება ოპერატიული ხელმძღვანელობით.

ამავე დროს სოფლის საბჭოების და რაიმიწგანების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **ნათესების მოვლა - დამუშავების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას ერთპიროვნულ მეურნეობებში** და გადამჭრელი ზომებით აღიკვეთოს კულაკური ელემენტების საბოტაჟი ნათესების მოვლის საქმეში.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებმა, სამანქანო - სატრაქტორო სადგურთა პოლიტგანყოფილებებმა და კოლმეურნეობებმა, რომელთაც თესვის გეგმა ვადამდე შეასრულეს ყოველ მიზეზს გარეშე უნდა უზრუნველყონ ნათესების სანიმუშო მოვლა-დამუშავება და ამ გზით მოსავლიანობის შემდგომი გადიდება.

სოფლის ყველა მუშაკმა უნდა იცოდეს, რომ სასოფლო - სამეურნეო წლის შედეგები საბოლოო ანგარიშში შეფასებული იქნება არა იმის მიხედვით, თუ რამდენი ჰექტარი დაითესა, არამედ იმის მიხედვით, **თუ რამდენი ფუთი მოსავალი იქნება აღებული თითეულ ჰექტარიდან.** ამ თვალსაზრისით კი ნათესების მოვლა დამუშავებას ახლა ენიჭება **უდიდესი** მნიშვნელობა.

მთელი ძალები და მთელი ენერგია თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ბამბის, ბოსტნეულის და მარცვლეულის დამუშავებას, სარეველა ბალახების მოსპობას და ნათესების დაცვას მინდვრის მავნებლებისა და წყნახედებისაგან.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას

შევხვდეთ ყოველმხრივ მომზადებული

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სიღნაღის რაიონში დაიწყო მოსავლის აღება. **13 ივნისიდან წნორი. საკენ უკვე დაიძვრენ პურის წითელი ქარავნები, „საქ. ზაგოტზერნოს" წნორის პუნქტი კი მზად არ არის ახალი პურის მისაღებად.**

წნორის პუნქტს აქვს 5 საწყობი და 2 ფარდული, სულ 5.500 ტონას ტევადობით. გეგმით პურის მიღება გათვალისწინებულია 8.000 ტონას რაოდენობით.

ერთი ახალი საწყობი, რომელიც დაიტევს 1.500 ტონა პურს, მზად არის, დაბარჩენი საწყობები კი დღემდე არ არის განთავისუფლებული. 3 და 4 საწყობებში მოთავსებულია 460 ტონამდე მარცვლეული. განტვირთვის ნაცვლად საწყობს ყოველდღიურად ემატება სიმინდის ახალი პარტია. სიმინდი, რომელიც ალაზნის საბჭოთა მეურნეობიდან თებერვალში და მარტში უნდა გადმოეზიდათ, ეხლა მოდის.

გარდა ამისა № 2 საწყობში 8 ივნისისათვის მოთავსებული იყო 25 ვაგონი პური.

რკინის გზა აფერხებს ვაგონების მოწოდებას, საწყობები განუტვირთავია. ეს მდგომარეობა აშკარა **საფრთხის წინაშე აყენებს ახალი პურის დაბინავებას.**

უმსგავსო მდგომარეობაშია პურის საწყობებთან **მისასვლელი გზები,** ს წყობების წინ, რამოდენიმე ადგილას, ჭაობებია. **წვიმიან ამინდში ურმების და ავტომანქანების საწყობამდე მისვლა შეუძლებელი გახდება.**

სიღნაღის რაიონმასკომის პრეზიდიუმმა კარგა ხანია დაავალა **საქობოს და ბოდბის** სასოფლო საბჭოებს, რომ მათ 20 მაისისათვის წესრიგში მოეყვანათ საწყობებთან მისასვლელი გზები და წინა მოედნები. მიუხედავად წნორის პუნქტის გამგის რამოდენიმეჯერ მოგონებისა, ხსენებულ სას. საბჭოს თავმჯდომარეებს **ლ. ყარალაშვილს და გ. ბერიძეს** გზების შეკეთებისათვის თითიც არ გაუნძრევიათ.

კადრების მოსამზადებლად და გამოსაყენებლად (მოანგარიშეებისა და მშრნავების) სიღნაღის რაიონმა 6 ივნისს პუნქტს გამოუგზავნა 15 კაცი. მათ მოსამზადებლად „საქ. ზაგოტზერნომ" დაიგვიანა ხელმძღვანელის გამოგზავნა.

„საქ. ზაგოტზერნოს" დღემდე არ გამოუგზავნია წნორის პუნქტისათვის პურის ბლანკები პურის მისაღებად, არ არის მიღებული ინსტრუქციები ანგარიშ-გასწორების წესის შესახებ, არ აქვთ ცხრილები შეღავათებზე და სხვა. ბლანკებისა და ინსტრუქციების უქონლობა კი ბიდათ აფერხებს ახალი კადრების მომზადებას.

გარდა ამისა პუნქტს არ მოეპოება სასწორები, ტომრები, და ბრეზენტები საკმაო რაოდენობით. საჭიროა დამატებით 6 სასწორი, 6000 ცალი ტომარა და 6 ბრეზენტი.

საწყობებთან წარმოიებს წითელი კუთხეების, სასადილოების და საჩაიების მოწყობა, მაგრამ დღემდე **არ შესდგომიან პირუტყვისათვის წყალის დასალევინებელი ადგილების მოწყობას.**

„საქ. ზაგოტზერნომ" დაჩქარებით უნდა უზრუნველყოს წნორის პუნქტი საჭირო რაოდენობის ტარით, სასწორებით, ბრეზენტებით, სათანადო საველრიცხვო ბლანკებით.

„საქ. ზაგოტზერნომ" უნდა გააძლიეროს თავის პუნქტის მიმართ ოპერატიული ხელმძღვანელობა **და** აღმოუჩინოს მას ყოველგვარი დახმარება.

სიღნაღის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მიიღოს ყველა ზომა წნორის პუნქტში ახალი პურის შეუფერხებელი მიღებისათვის.

ვ. მთვრალაშვილი.

წნორი, 8 ივნისი.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

წერილების გაცვლა-გამოცვლა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. მ. მ. ლიტვინოვსა და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიტულესკუს შორის და ლიტვინოვსა და ჩეხია-სლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბენეშს შორის

გუშინ ჟენევაში შესდგა წერილების გაცვლა - გამოცვლა ერთის მხრით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ლიტვინოვსა და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიტულესკუს შორის და მეორეს მხრით—ლიტვინოვსა და ჩეხია-სლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბენეშს შორის.

ტიტულესკუს პირველი წერილი ამხ. ლიტვინოვს:

ტიტულესკუს მიერ ამხ. ლიტვინოვისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

„ჟენევა, 9 ივნისი.

ბ. სახალხო კომისარო.

პატივი მაქვს გაცნობოთ შემდეგი:

მცირე ანტანტის კონფერენციაზე, რომელიც შესდგა ზაგრებში 1934 წლის 22 იანვარს, საგარეო საქმეთა სამიე მინისტრმა დროულად აღიარა მცირე ანტანტის წევრ სახელმწიფოების მიერ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან, როგორც კი შეიქმნება საჭირო დიპლომატიური და პოლიტიკური პირობები.

იმ საუბრების შედეგად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩემსა და თქვენს შორის, ბ-ნო სახალხო კომისარო, ივნისის დასაწყისს, მცირე ანტანტის მუდმივმა საბჭომ, რომელიც ჟენევაში შეიკრიბა, აღნიშნა, რომ პოლიტიკური და დიპლომატიური პირობები ახლა საშუალებას აძლევენ მცირე ანტანტის წევრ თვითეულ სახელმწიფოს ხელსაყრელ მომენტში მოიქცენ ზაგრებში მიღებული რეზოლუციის თანახმად.

ზემოაღნიშნულისა გამო, მე მოხარული ვარ გაცნობოთ თქვენ, რომ ჩვენს შორის გამართულ საუბრებს შორის რუმინეთის სამეფო მთავრობამ გადაწყვიტა დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის მთავრობასთან და დანიშნოს თავისი საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამრიგად დამყარებული ურთიერთობა სამუდამოდ დარჩება ნორმალური და მეგობრული და რომ ჩვენი ხალხები განაგრძობენ თანამშრომლობას თავის უდიდეს ურთიერთ კეთილდღეობისათვის საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში.

მიიღეთ და სხვ. ტიტულესკუ".

ამხ. ლიტვინოვის საპასუხო წერილი ტიტულესკუს

ამხ. ლიტვინოვის მიერ ტიტულესკუსათვის გაგზავნილი პირველ საპასუხო წერილში ნათქვამია:

„ჟენევა, 9 ივნისი.

ბ. საგარეო საქმეთა მინისტრო.

მე მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ ჩვენს შორის გამართული ბაასის შედეგად საბჭოთა კავშირის მთავრობამ გ. დაწყვიტა დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა რუმინეთის სამეფო მთავრობასთან და დანიშნოს თავისი საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამრიგად დამყარებული ურთიერთობა სამუდამოდ დარჩება ნორმალური და მეგობრული და რომ ჩვენი ხალხები განაგრძობენ თანამშრომლობას თავის უდიდეს ურთიერთ კეთილდღეობისათვის საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში.

მიიღეთ და სხვ.

მ. ლიტვინოვი"

ტიტულესკუს მეორე წერილი ამხ. ლიტვინოვს

ტიტულესკუს მიერ ამხ. ლიტვინოვისათვის გაგზავნილ მეორე წერილში ნათქვამია:

„ჟენევა, 9 ივნისი.

ბ. სახალხო კომისარო.

წერილების გაცვლა -გამოცვლით, რომელიც ჩვენს შორის 9 ივნისს მოხდა, ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებულია ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნულ ურთიერთობათა ნორმალური განვითარება უფრო მეტად დაახლოების და ნამდვილი და ხანგრძლივი მეგობრობის მიმართულებით, მე პატივი მაქვს დაგიდასტუროთ შემდეგი შეთანხმება.

ჩვენი ქვეყნების მთავრობები ურთიერთ უზრუნველყოფენ თვითეული მათგანის სახელმწიფო სუვერენიტეტის სრულ პატივისცემას და თავშეკავებას ყოველგვარი პირდაპირი, ან არა პირდაპირი ჩარევისაგან მეორე მხარის შინაურ საქმეებსა და განვითარებაში და, კერძოდ, ყოველგვარი აგიტაციისა, პროპაგანდისა და ყოველგვარი ინტერვენციისაგან, ან მათი დახმარებისაგან.

ამას გარდა, ისინი კისრულობენ არ შექმნან, არ დაეხმარონ და თავის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება არ მისცენ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ შეიარაღებულ ბრძოლას მეორე მხარისთან, ან ძალით ხელყოფენ მის პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ წყობილებას, ანდა ქადაგებენ ან ამზადებენ ტერორისტულ აქტებს მისი ოფიციალური წარმომადგენლების წინააღმდეგ. აგრეთვე ისეთი ორგანიზაციებს, რომლებიც იკუთვნებენ მეორე მხარის ან მისი ტერიტორიის ნაწილის შთავრობის როლს.

ისინი აგრეთვე კისრულობენ აკრძალონ თავის ტერიტორიაზე აღნიშნულ ორგანიზაციებისათვის დანიშნულ შეიარაღებული ძალების, იარაღის, სამხედრო საჭურველის, ამუნიციის და ყოველგვარი სამხედრო მასალის შეგროვება, აგრეთვე მათი შემოშვება და გატარება თავის ცერიტორიაზე.

მიიღეთ და სხვ.

ტიტულესკუ"

ამხ. ლიტვინოვის მეორე საპასუხო წერილი ტიტულესკუს

ამხ. ლიტვინოვის მეორე წერილში ტიტულესკუსადმი ნათქვამია:

ჟენევა, 9 ივნისი.

ბ. საგარეო საქმეთა მინისტრო.

წერილების გაცვლა-გამოცვლით, რომელიც ჩვენს შორის 9 ივნისს მოხდა, ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებულია დიპლომატიური ურთიერთობა.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნულ ურთიერთობათა ნორმალური განვითარება უფრო მეტად დაახლოების და ნამდვილი და ხანგრძლივი მეგობრობის მიმართულებით, მე პატივი მაქვს დაგიდასტუროთ შემდეგი შეთანხმება.

ჩვენი ქვეყნების მთავრობები ურთიერთ უზრუნველყოფენ თვითეული მათგანის სახელმწიფო სუვერენიტეტის სრულ პატივისცემას და თავშეკავებას ყოველგვარი პირდაპირი, ან არა პირდაპირი ჩარევისაგან მეორე მხარის შინაურ საქმეებსა და განვითარებაში და, კერძოდ, ყოველგვარი აგიტაციისა, პროპაგანდისა და ყოველგვარი ინტერვენციისაგან, ან მათი დახმარებისაგან.

ამას გარდა, ისინი კისრულობენ არ შექმნან, არ დაეხმარონ და თავის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება არ მისცენ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ შეიარაღებულ ბრძოლას მეორე მხარისთან, ან ძალით ხელყოფენ მის პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ წყობილებას, ანდა ქადაგებენ ან ამზადებენ ტერორისტულ აქტებს მისი ოფიციალური წარმომადგენლების წინააღმდეგ, აგრეთვე ისეთი ორგანიზაციებს, რომლებიც იკუთვნებენ მეორე მხარის ან მისი ტერიტორიის ნაწილის შთავრობის როლს.

ისინი აგრეთვე კისრულობენ აკრძალონ თავის ტერიტორიაზე აღნიშნულ ორგანიზაციებისათვის დანიშნულ შეიარაღებული ძალების, იარაღის, სამხედრო საჭურველის, ამუნიციის და ყოველგვარი სამხედრო მასალის შეგროვება, აგრეთვე მათი შემოშვება და გატარება თავის ცერიტორიაზე.

მიიღეთ და სხვ.

ტიტულესკუ"

ამხ. ლიტვინოვის საპასუხო წერილი ბენეშს

ამხ. ლიტვინოვის მიერ ბენეშისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში ნათქვამია:

„ჟენევა, 9 ივნისი.

ბ. საგარეო საქმეთა მინისტრო.

მე მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ ჩვენს შორის შეშდგარი საუბრის შედეგად, ჩეხია-სლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, როგორც კი შეიქმნება აუცილებელი დიპლომატიური და პოლიტიკური პირობები. ბ. სახალხო კომისარო, თქვენსა და ჩემს შორის ივნისის დასაწყისში შემდგარი საუბრის შედეგად, მცირე ანტანტის მუდმივმა საბჭომ, რომელიც შეიკრიბა ჟენევაში, აღნიშნა, რომ პოლიტიკური და დიპლომატიური პირობები ამჟამად ნებას აძლევენ მცირე ანტანტის წევრ თვითეულ სახელმწიფოს მოიქცეს სათანადო მომენტში ზაგრებში მიღებული რეზოლუციის თანახმად. ზემოაღნიშნულის გამო მე მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ ჩვენს შორის შემდგარი საუბრის შედეგად ჩეხია-სლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და დანიშნოს თავისი საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამრიგად დამყარებული ურთიერთობა სამუდამოდ დარჩება ნორმალური და მეგობრული და რომ ჩვენი ხალხები განაგრძობენ თანამშრომლობას თავის უდიდეს ურთიერთ კეთილდღეობისათვის საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში.

მიიღეთ და სხვ.

დოქტორი ედუარდ ბენეში"

ამხ. ლიტვინოვის საპასუხო წერილი ბენეშს

ამხ. ლიტვინოვის მიერ ბენეშისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში ნათქვამია:

„ჟენევა, 9 ივნისი.

ბ. საგარეო საქმეთა მინისტრო.

მე მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ ჩვენს შორის შეშდგარი საუბრის შედეგად საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა ჩეხია-სლოვაკიის რესპუბლიკასთან და დანიშნოს თავისი საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამრიგად დამყარებული ურთიერთობა სამუდამოდ დარჩება ნორმალური და მეგობრული და რომ ჩვენი ხალხები განაგრძობენ თანამშრომლობას თავის უდიდეს ურთიერთ კეთილდღეობისათვის საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში.

მიიღეთ და სხვ.

მ. ლიტვინოვი".

ბენეშის წერილი ამხ. ლიტვინოვს

ჩეხია-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბენეშის მიერ ამხ. ლიტვინოვისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

„ჟენევა, 9 ივნისი.

ბ. სახალხო კომისარო.

მაქვს პატივი, გაუწყოთ შემდეგი:

„მცირე ანტანტის, კონფერენციაზე, რომელიც შესდგა ზაგრებში 1934 წლის 22 იანვარს, სამივე საგარეო საქმეთა მინისტრმა დროულად სცნო მცირე ანტანტის წევრ სახელმწიფოთა მიერ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან, როგორც კი შეიქმნება აუცილებელი დიპლომატიური და პოლიტიკური პირობები. ბ. სახალხო კომისარო, თქვენსა და ჩემს შორის ივნისის დასაწყისში შემდგარი საუბრის შედეგად, მცირე ანტანტის მუდმივმა საბჭომ, რომელიც შეიკრიბა ჟენევაში, აღნიშნა, რომ პოლიტიკური და დიპლომატიური პირობები ამჟამად ნებას აძლევენ მცირე ანტანტის წევრ თვითეულ სახელმწიფოს მოიქცეს სათანადო მომენტში ზაგრებში მიღებული რეზოლუციის თანახმად. ზემოაღნიშნულის გამო მე მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ ჩვენს შორის შემდგარი საუბრის შედეგად ჩეხია-სლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და დანიშნოს თავისი საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამრიგად დამყარებული ურთიერთობა სამუდამოდ დარჩება ნორმალური და მეგობრული და რომ ჩვენი ხალხები განაგრძობენ თანამშრომლობას თავის უდიდეს ურთიერთ კეთილდღეობისათვის საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში.

მიიღეთ და სხვ.

მ. ლიტვინოვი".

განიარაღების კონფერენციის გენერალური სხდომა

ჟენევა, 8 ივნისი. ბიუროს სხდომის შემდეგ გაიხსნა კონფერენციის გენერალური კომისიის სხდომა.

ბარტუმ წაიკითხა ფრანგების მიერ წარმოდგენილი ტექსტი. მან მადლობა გადაუხადა ინგლისელებს და ამერიკელებს თანამშრომლობისათვის ამ ტექსტის გამომუშავების საქმეში და არაპირდაპირი ფორმით წაიღო უკან თავისი მკაცრი გამოსვლები ინგლისელების და ჰენდერსონის წინააღმდეგ წარსულ სხდომებზე. ეხება რა პროექტის იმ პუნქტს, სადაც ლაპაოკია გერმანიის დაბრუნების შესახებ, ბარტუ აღნიშნავს, რომ ეს პუნქტი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ანვითარებს რა თავისი პროექტის უკანასკნელ პუნქტს, რომელიც დაკავშირებულია საბჭოთა წინადადებასთან მშვიდობიანობის მუდმივი კონფერენციის შეკრნის შესახებ, ბარტუ აღნიშნავს: „ეს ამსოლუტურად ახალია და ორიგინალური იდეა, რომელიც მე ჩემის მხრით სასაგებელად მიმაჩნია და რომელიც შეიძლება განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდეს".

ინგლისის დელეგატი **იდენი** თავის მხრით აღნიშნავს ინგლისა-საფრანგეთის მეგობრობის სიმტკიცეს. ეხება რა რეზოლუციას, იდენი ხაზგასმით აღნიშნავს გერმანიის დაბრუნების საჭიროებას და გამოსთქვამს იმედს, რომ დღეგანდელი შეთანხმება საუშალებას მისცემს გერმანიის დაბრუნდეს ენერგევაში.

ამერიკის დელეგატი **დევისი** საპასუხო მადლობას უხდის ბარტუს, ხოლო რეზოლუციის შესახებ გამოსთქვამს უაღრესად ჩვეულებრივი ოპტიმისტურ იმედებს და სურვილებს. დევისის შემდეგ სიტყვას ღებულობს ამხ. **მ. მ. ლიტვინოვი.**

ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა

„მე არ ვიცი, — აცხადებს ამხ. **ლიტვინოვი,** — სადამდე მიგვიყვანს ჩვენ ეს რეზოლუცია. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ გრძელი სიტყვები ალბათ არ წაგიყვანენ ძალიან შორს. არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ აღტაცებული ვარ ამ რეზოლუციით. განა მოსალოდნელია, რომ ძე დამაკმაყოფილოს ყოველგვარმა რეზოლუციამ, რომელიც არ იქნება მიღებული, ყოველ შემთხვევაში ყოველმა რეზოლუციამ, რომელიც არ ითვალისწინებს იმ ტემპებს, რომლებსაც ჩვენ ჩვენს ქვეყანაში მოვიჭიეთ?

მაგრამ, თუ შეგეკითხებიან — ხმას ვაძლევ თუ არა რეზოლუციის წინაადმდეგ, ამაზე მე უარყოფითად ვუპასუხებ, ვინაიდან მასში არ მოიპოვება ისეთი რამ, რის წინააღმდეგაც საბჭოთა დელეგაციას შეეძლოს გალაშქრება. და მართლაც, რეზოლუცია წინადადებას აძლევს ბიუროს იქიბოს დღის წესრიგში დასმული პრობლემების გადაჭრა. ამას ჩვენ თვითონ ვეძებთ და თუ ბიუროო ამაში დაგვეხმარება, ჩვენ მას მადლობას ვეტყვით. რისი თქმა შეიძლება აბის წინააღმდეგ? ნახსენებია გერმანიის დაბრუნების შესაძლებლობა, რის წინააღმდეგ ჩვენ არასოდეს არ გამოგვიიღია. ჩვენ როდი ვმუშაობდით იმ საკითხის გამოსარკვევად, უოველთვის მართალი ოიან თუ მტყუანი აქ არმყოფნი. ვგრძნობთ თუ არა აქ არმყოფთა ყოფნას ან მყოფთა არყოფნას. მე შემეძლო მეთქვა, რომ საბჭოთა მთავრობამ უკვე ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ დაჩქარებულიყო გერმანიის დაბრუნება არა მარტო კონფერენციაზე, არამედ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც. შემდეგ ჩვენ წინადადებას გავაძლევენ შევუდგეთ საპაერო შეიარაღების, იარაღის წარმოების და ვაჭრობის საკითხების განხილვას, რა გაეწყობა, თუ აქ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ ამ დარგში კონფერენციის დღემდე უნაყოფო მუშაობის განახლებას ახლა შეუძლია მიგვიყვანოს განიარაღების კონვენციამდე, მე არ ვფიქრობ სახლდ დავტოვო ისინი და შევასრულო მათი ენტუზიაზმი, მაგრამ იმ პირობით, რომ ასეთი მოქმედება ვერ დაიჭერს იმ მუშაობის ადგილს, რომელსაც მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ და რომელიც ჩემის აზრით უფრო შეიფერება მომენტის საერთაშორისო მოთხოვნებს. ამასთან მე მოხარული ვარ, რომ საფრანგეთის დელეგაციის მიერ დასახულ სამუშაოების პროგრამაში უალრესად სასტატო ადგილი აქვს დათმობილი უმშრომების პრობლემას, რაც შეადგენს საბჭოთა დელეგაციის ერთერთ მნიშვნელოვან წინადადებას.

მართალია, მე წინადადებას ვიძლეოდი შეედგომოდით არა მარტო რეგიონალური პაქტების საკითხების განხილვას, არამედ აგრეთვე აგრესიის განსაზღვრასაც. ერთი საკითხი იწვევს მეორეს. ჩემის აზრით, პაქტები უნდა შეიცავდეს აგრესიის განსაზღვრას და ამიტომ ორივე საკითხი შეიძლება პარალელურად იქნას განხილული. შემდეგ, ჩვენი მეორე წინადადება გამოიხატებოდა მშვიდობიანობის მუდმივი კომისიის შექმნაში, რეზოლუცია ამ წინადადებას უცვლის მისამართს მთავრობებისაკენ, მაგრამ მე იმე **დი მაქვს, რომ** იგი არ დაიკარგება საგარეო საქმეთა სამინისტროების კანცელარიების არ ქიკებში.

მე ამედი მაქვს, რომ მთავრობები, წინადადების ყურადღებით შესწავლის შემდეგ, სათანადო ინსტრუქციებს მისცემენ დელეგატებს საკითხის აქ განსახილველად. ომის საფრთხე, რომელიც არამც თუ ქრება, არაკედ, პირიქით, კიდეც ძლიერდება, სამწუხაროდ, კიდევ დიდსხა მოაგონებს ყველას ჩვენს წინადადებებს. მე უნდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო ცხოვრების მრისხანე ანრდილის უკანასკნელ დროს კიდევ მაქამაში ერთი: მთელი სახელმწიფოების ბედიღბლის ხელმძღვანელობის გადასვლა სამხედრო პირთა ხელში. ჩვენ ვიცით, რომ სამოქალაქო სახელმწიფო მოდგაწეთა შორის მოიპოვება ბევრი საბრძოლოდ განწყობილი ადამიანი და შესაძლებელია, რომ სამხედრო პირთა შორის აღმოჩნდეს ბევრი მშვიდობისმოყვარე ადამიანი. ყოველ შემთხვევაში წითელი არმიის ხელმძღვანელები ყველაზე უფრო მშვიდობისმოყვარე ხალხია მსოფლიოში.

მაგრამ ჩვენ მაინც ყურადღებით უნდა ეგ დეგნოთ თვალი შენიშნულ ახალ მოვლენებს, რომლებსაც შეეძლიათ გადადიოან მშვიდობიანობის დარღვევის სამშრომება. მე დიდი კმაყოფილება ვიგრძენი, როცა დიაკუსიიდან გავიგე, რომ აქ მოიპოვება ბევრი სახელმწიფო მოღვაწე, ოომლებიც ხე დავენ ინ სფერთხეს, რაზედაც ჩვენ აქ ბუდ მივ მიგუთითებთ, და ოომლებიც მზად არიან თანამშრომლონ ჩვენთან აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილების და შემცირების საქმეში. ერთში შემიძლია თქვენ დგა-ინ ბრმუნოთ, რომ ის მთავრობა, რომელის წარმომადგენელიც მე ვარ, აქ მიღებულ გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად, არა მარტო კონფერენციაზე. არამედ კონფერენციის გარეშეც შეეხლოქნება ენერგიით განაგრძობს მუშაობას საყოველთაო მშვიდობიანობის განსამტკიცებლად ყველა ხელსაბნი და ნაციებისათვის, იმ მუშაობას, რომელის დარგშიაც მან დღემდე უკვე ბევრ

ნამდვილად გარდავქმნათ სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობა

„აღვზარდოთ კოლმეურნე ბოლშევიკები კოლმეურნეობის კონკრეტულ პრაქტიკულ საკითხებზე და პარტიის პოლიტიკურ ლოზუნგებზე“

(კაგანოვიჩი)

მოწინავე საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია

(ლანჩხუთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

სოფ. ეწერ-ბაღლეთის კოლმეურნეობა სისტემატიურად ჩამორჩენილი იყო გეგმების შესრულებაში. ამ კოლმეურნეობას ხშირად ნახავთ შავ დაფაზე. ყველაზე უფრო მკვეთრად პარტიული მუშაობის სისუსტე მოსჩანდა. ეწერ-ბეღლეთის პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობას ვერ უწევდა სათანადო პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. კომუნისტები ნაკლებად იყენებ დაინტერესებული საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებით. ეს იყო გარღვევისა და ჩამორჩენის მიზეზი.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ლანჩხუთის რაიკომმა და პოლიტგანყოფილებამ იქ პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელად გაგზავნა ამხ. ვასო ხოფერია.

არსებითად შეიცვალა კოლმეურნეობის მდგომარეობა, რაც ამხ. ვასო ხოფერია სათავეში იაუდგა ეწერ ბაღლეთის პირველად პარტორგანიზაციას და განახორციელა ნამდვილი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ეს კოლმეურნეობა ახლა ლანჩხუთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში დგას.

ამხ. ვასო ხოფერიას მუშაობას თავიდანვე ახასიათებდა კონკრეტულობა, ოპერატიულობა და ცოცხალი ხელმძღვანელობა. მაგრამ სულ სხვაა მისი მუშაობა ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის შემდეგ. ახლა ის მთავარ ყურადღებას აქცევს თვითეული პარტწევრის (სულ 10 პარტწევრი და კანდიდატი) პოლიტიკურ მოზადებას და საწარმოო აქტივობის გაზრდას.

პირველად პარტორგანიზაციასთან არსებობს პოლიტსკოლა, სადაც ჩაბმულია ყველა კომუნისტი და უპარტიო დამკვრელი კოლმეურნე. ზოგიერთი პარტწევრი ნაკლებად ზრუნავდა თავის პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისათვის. ვერ ერკვეოდა ელემენტარულ საკითხებშიც კი, მაგ. არონ ჭყონია (პარტკანდიდატი) მომზადების მხრივ ძალიან ჩამორჩენილი იყო. პარტორგანიზატორმა ამხ. ვ. ხოფერიამ მას მისცა ლიტერატურა მე-17 პარტყრილობის და ამხ. სტალინის მოხსენების შესახებ. სისტემატიურად აწყობდა მასთან ინდივიდუალურ საუბრებს, ეხმარებოდა ცოდნის ამაღლებაში. დღეს ამხ. ჭყონია საუკეთესოდ ერკვევა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებში. ახლა იგი თვითონ ატარებს ამ საკითხებზე საუბრებს ბრიგადაში. პარტორგანიზატორი ამხ. ვ. ხოფერია მთავარ ყურადღებას აქცევს ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას და მის საფუძვლიანად დამუშავებას. ამხ. სტალინის მოხსენება დამუშავებულია 8 მეცადინეობაზე. გაიზარდა კომუნისტების ავან გარდული როლი: აკაკი გოგიჩაიშვილს 25 მაისისათვის გამომუშავებული აქვს 85 შრომა-დღე, სოფია კვაჭაძეს (პარტიის კანდიდატი) ამავე რიცხვისათვის გამომუშავებული აქვს 47 შრომადღე; ხ. ვასაძეს, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ჯანმრთელი იმ არ არის, გამომუშავებული აქვს 70 შრომა-დღეზე მეტი და სხვ.

პარტორგანიზატორი ამხ. ვ. ხოფერია ყოველ 1 ღოეში ერთხელ ამოწმებს კომუნისტების საწარმოო აქტივობის და ვინიცობაა სადმე ჩამორჩენას შენიშნავს უმალ იღებს საჭირო ზომებს. მაგ. ამხ. ვასაძეს (პ. წ.) საწარმოო აქტივობა დაბალი ჰქონდა, მისი შრომა-დღეების რიცხვი ფიფრო მცირე იყო, ვიდრე უპარტიო კოლმეურნისა. ამხ. ხოფერიამ პარტორგანიზაციის წინაშე დააყენა მისი საკითხი და მოითხოვა. რომ ამხანაგ ვასაძეს თავის საწარმოო აქტივობა აეწია. მართლაც, დღეს იგი დამკვრელ კოლმეურნეთა რიგებში დგას—გამომუშავებული აქვს 80-ზე მეტი შრომა-დღე.

ეწერ-ბაღლეთის პირველადი პარტორგანიზაციის ორგანიზატორმა ამხ. ვ. ხოფერიამ საქმით უპასუხა ამხ. სტალინის მოხსენების და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილების დამუშავებას; მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე თაქტს. 10 მარტს პარტორგანიზაციამ დაამუშავა ამხ. სტალინის მოხსენიბის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია მეცხოველეობის განვითარების შესახებ. ამხ. ხოფერიამ შეადგინა კონკრეტული გეგმა მის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების უზრუნველსაყოფად, რომელიც რამოდენიმე დღის შემდეგ განახორციელა. კოლმეურნეობისგანაზომილებაში შეიძინა 10 ღორი, მოაწყო მელორეობის ფერმა, ააშენა შესანიშნავი ორთვლიანი საღორე. კოლმეურნეობას ჰყავს ჯოგი, მაგრამ ამ ჯოგის საქმე კარგად არ მიდიოდა. მან გამოარკვია ჯოგის მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ ჯოგის ხელმძღვანელის გუჯაბიძის დაუდევრობით დაიღუპა ორი სული საქონელი. გუჯაბიძე ჯოგის ხელმძღვანელობიდან მოხსნა და პასუხისგებაში მისცა. მის ნაცვლად ჯოგის ხელმძღვანელად გაგზავნა კომკავშირელი აქსენტი კვაჭაძე, ჯოგს მოუწყო საუკეთესო ფიცრული ბინა.

ეწერ-ბაღლეთის კოლმეურნეობაში 21 უძროხო კოლმეურნე იყო. დღეს კი ყველა კოლმეურნეს ძროხა ჰყავს.

მარტის რიცხვებში პარტორგანიზაციამ დაამუშავა ამხ. ლავრენტი ბერიას მიერ მე-17 პარტყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა ამხ. ლ. ბერიას სიტყვის დამუშავებას დაუკავშირდა კოლმეურნეობაში ციტრუსების განვითარების საქმე. გეგმით უნდა გაშენებულიყო 1 ჰექტ., მანდარინი, ნაცვლად იმისა კოლმეურნეობამ გააშენა 2 ჰექტარი, რომელიც საუკეთესოდ არის მოვლილი. 1.118 ძირი მანდარინის ნარგავში, მხოლოდ ორი ძირი გახმა.

ასე უკავშირებს პარტორგანიზაცია ამხ. სტალინის მოხსენებას და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავებას თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას. თუ წინად პარტორგანიზაცია ხშირად იწვევდა კრებებს და საათობით გძელდებოდა ეს კრებები. ახლა ასეთი რამ აღარ ხდება. პარტორგანიზაციის კრება საჭიროების მიხედვით იმართება. როდესაც შეამჩნევს, რომ ესა თუ ის საქმე წესიერად ან დროულად არ კეთდება, მოიწვევს სასწრაფოდ თათბირს და იქვე ღებულობს ზომებს. მაგ. 26 მაისს კოლმეურნეობაში ჩაის კრეფა სუსტად მიმდინარეობდა. ზოგიერთი ბრიგადა უწესოდ კრეფდა ჩაის ფოთოლს. ბრიგადებში მომუშავე კომუნისტები კი მდგომარეობის გამჭასსწორებლად არავითარ ზომებს არ ღებულობდენ. პარტორგანიზატორმა ამხ. ვ. ხოფერიამ კარგად შეამოწმა ამ დღეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარეობა, იმავე დროესვე საღამოთი მოიწვია პარტორგანიზაციის კრება ბრიგადირებთან ერთად და მიიღო საჭირო ღონისიძებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. მას შემდეგ ჩაის ფოთლის კრეფა ამ კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს და მაისს თვის გეგმა 100 პროცენტით შესრულდა.

ამხ. ვ. ხოფერია მთავარ ყურადღებას აქცევს დავალებათა შესრულების შემოწმებას. იგი კვალდაკვალ მისდევს დავალების შესრულებას და არაფის არ აპატიებს ამ საქმეში გულგრილობას.

როდესაც ამხ. ხოფერია იღებს დავალებებს პ. განყოფილებიდან, რაიკომიდან და სხ., იგი მოუსვენრად ვრძნობს თავს, სანამ დავალებას სრულყოფილად არ მოიყვანს. ავიღოთ ერთი ფაქტი. მას დაავალეს ბრიგადებში კოლმეურნეებთან დაემუშავებია საკითხი, რათა მათ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე გაეშენებინათ მანდარინის და ლიმონის ნარგავები, რომლის გაშენებისათვის ეწერ-ბაღლეთის სოფელს საუკეთესო ნიადაგი აქვს. ამხ. ვ. ხოფერიამ დავალების თანახმად ბრიგადებში დაამუშავა საკითხი და ჩაატარა ახსნა-განმარტებითი მუშაობა ციტრუსების ნარგავთა გაშენების შესახებ. მისი ახსნაგანმარტების შედეგად სოფ. ეწერ-ბაღლეთის კოლმეურნეთა უმრავლესობამ გააშენა მანდარინი თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე. მაგ.: ს. გუჯაბიძემ გააშენა 60 ძირი მანდარინი, ლ. ხოფერიამ—10 ძირი. ასევე ქრისტეფორე გუჯაბიძემ, დემორა გუჯაბიძემ და სხვა. მთავარი, რითიც ხასიათდება ამხ. ხოფერიას მუშაობა, ეს არის პარტმასობრივი მუშაობის ნამდვილად გარდაქმნა. კომუნისტები განაწილებული არიან საკოლმეურნეო ბრიგადებში, ეძლევათ კონკრეტული დავალებები, პერიოდულად ხდება ამ დავალების შესრულების შემოწმება, ყველა ბრიგადაში (სულ 5 ბრიგადაა) გამოდის საველე გაზეთები. საველე გაზეთის დახმარებით გამოსწორდენ მესამე ბრიგადის წევრები—კვაჭაძე და ე. კვაჭაძე, რომლებიც სისტემატიურად აცდენდენ სამუშაო დღეებს. მამათის კოლმეურნეების მოწოდების საფუძველზე ბრიგადებს შორის გაშლილია სოცშეჯიბრება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის და პლანტაციის წესიერად დამუშავების უზრუნველსაყოფად.

მთავარი ნაკლი, რომელიც ამხ. ხოფერიას მუშაობას ახლავს ეს არის სუსტი მუშაობა თანამგრძნობთა ჯგუფის შექმნისათვის რაც უახლოეს დროში უნდა გამოსწორდეს.

ვ. ძარსელაძე.

„დაევალოს რაიკომის ინსტრუქტორს“

უკვე სამი თვეა ამხ. ვასო ფეიქრიშვილი თელავის რაკომის ინსტრუქტორად მუშაობს. იუალთოს, ზემოსოდანისა, ოქიოს და ქისტაურის სასოფლო საბჭოები — აი მისი სამუშაო უბანი. ამ სასოფლო საბჭოებში 8 ტერიტორიალური და 6 საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელთაც სათავეში პარტორგანიზატორები უდგანან. ამას გარდა, 2 კოლმეურნეობაში საკანდიდატო ჯგუფებია მოწყობილი, ერთში — პარტიულ - კომკავშირული ბირთვი, ხოლო 5 კოლმეურნეობასა და ერთ სოფელში თითო კომუნისტი მუშაობს.

ამხ. ფეიქრიშვილი პარტიულ მუშაობაში საკმაოდ გამოცდილია. იგი უკანასკნელად რაიკომის ერთერთი განყოფილების გამგედ იყო. ამიტომ, პუნქტებრივია, რომ ინსტრუქტორად დანიშვნის პირველ დღეებში წამოჭრილი ზოგიერთი სიძნელე მან შედარებით ადვილად დაძლია.

თვეში 25-26 დღე ფეიქრიშვილი სოფლადაა, იგი იცნობს თავისი უბნის თვითეულ კომუნისტს, კანდიდატს და კომკავშირელს. იგი პარტორგანზატორებს კონკრეტულ დავალებებს აძლევს.

— რუსეთრის კოლმეურნეობის პარტორგანიზატორ ლოკაფეშვილს, — ამბობს ამხ. ფეიქრიშვილი, — მივეცი დავალება დაემუშავებია მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილება მეცხოველეობის განვითარების შესახებ; ამავე დროს დავავალე აღერიცხა კოლმეურნეობის პირუტყვ, შეესწავლა სანქონლის მდგომარეობა, შეესწავლა მწყემსები და ვინიცობაა შეუფერებელნი აღმოჩნდებოდენ გამოენახა მათი შემცვლელები, გაეპროგნოზებინა პირუტყვი, გამოეყო ხაზინა. გადოდბრივი ინსპექტორი, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევდა ზოოვეტერინალურ ღონისძიებათა გატარებას. ამ დავალებს შესრულების ვადა 5 დღე იყო.

დავალების შესრულება შეგამოწმე მიხდგრად, ამ ბრიგადაში, სადაც თვით ლოკაფეშვილი მუშაობს, დასვენების დროს ლოკაფეშვილს გამოვკითხე, თუ რა გააკეთა დავალების შესასრულებლად. საუბარში კოლმეურნეებიც მონაწილეობდენ. მათი სიტყვებიდან გამოირკვა, რომ დავალება მხოლოდ ნაწილობრივ იყო შესრულებული.

ასეთი დავალებების მიცემა გასაგრძელებელია მხოლოდ ერთი პირობით: ინსტრუქტორმა პარტორგანიზატორს კონკრეტული დავალებები იმ ანგარიშით უნდა მისცეს, რომ არ შეშლოდეს მისი პირადი ინიციატივა. ამიტომ დავალება მოკლე უნდა იყოს და მხოლოდ ძირითად საკითხს უნდა შეეცავდეს. რუსეთრის კოლმეურნეობის პარტორგანიზატორს კი გარდა იმისა, რომ გაუჭირდებოდა ამხ. ფეიქრიშვილის მითითებათა განხორციელება ხუთი დღის განმავლობაში, ეს დეტალური დავალება უსათოდ ერთგვარი „ტექნიკური შემსრულებლის“ როლშიაც ჩაყენებდა მას.

მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ საიდან და რით იწყებს ინსტრუქტორი მუშაობას როდესაც იგი სასოფლო საბჭოში ჩადის. ამხ. ფეიქრიშვილი ასე იქცევა: იგი ბელ რიგში მოდის ტერიტორიალურ პირველად პარტორგანიზაციაში და საბჭოში, სადაც იცნობს ყველა პარტორგანიზაციის მდგომარეობას. ამის შემდეგ ის იწყებს სოფლების შემოვლას იმ პარტორგანიზაციებიდან, რომელიც შედარებით ჩამორჩენილია.

კითხვაზე: „როგორ შეუძლია ტერიტორიალურ პარტორგანიზაციას ან საბჭოს გაგაცნოს სხვა პარტორგანიზაციათა საქმიანობა?“ ამხ. ფეიქრიშვილი უპასუხებს:

— მე საბჭოს თავჯდომარეს (თუ პარტიის წევრია) და მასთან არსებულ ტერიტორიალურ პირველადი ორგანიზაციის ორგანიზატორს ვაცნობ მახლობელი პარტ ორგანიზაციის წინაშე მდგომ მთავარ ამოცანებს და იმ მითითებებს, რომელიც მე მათ მივეცი. ორივეს ვავალებ ყოველ მოხერხებულ შესაძლებლობაში გამოიკითხონ და გაიგონ მეზობელ პარტორგანიზაციათა საქმიანობა. ამის საშუალება მათ აქვთ, რადგან თვითონაც უხდებათ სოფლებში მოგზაურობა და პარტიის წევრებიც ხშირად მიდიან საბჭოში სხვადასხვა საქმეზე.

არ უნდა იფიქროთ თითქოს აქ ხდებოდეს დანარჩენი პირველადი პარტორგანიზაციების დაჭვიმდებარება. საბჭოსთან არსებულ ორგანიზაციისადმი არავითარ შემთხვევაში. ამხ. ფეიქრიშვილს საბჭოს ტერიტ. ორგანიზაცია ქვერაიკომად არ გადაუქცევია. მან მხოლოდ გამოიყენა ის კანონიერი და სავალდებულო ინტერესი, რომელსაც ერთი პარტორგანიზაცია მეორის მუშაობისადმი ეუნდა იჩენდეს.

რა უშლის ხელს ამხ. ფეიქრიშვილს მუშაობას? — სამეურნეო ხასიათის დავალებებით ზედმეტი გადატვირთვა ალბათ ბევრ სხვა რაიონშიაც ასე ხდება. დაინიშნა რაიკომის ინსტრუქტორი, რომელიც თითქოს გამოდგებოდა სოფელში იმოფოფა, და აი, რაიონის საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებიც სარგებლობენ ამ გარემოებით და თავიანთ დავალებებით ტვირთავენ მას.

— მე კარგად ვიცი, — გვეუბნება ამხ. ფეიქრიშვილი, — რომ ინსტრუქტორის ამოცანა — პარტმუშაობის გაძლოლაა., მაგრამ ბრრად სამეურნეო კამპანიების ჩატარება ისე ჩამითრევს ხოლმე, რომ ჩემს პირდაპირ საქმეს დიდი ისით ვწყდები. ავიღოთ, მაგალითად, ხესის გაჯრცელება. რაიფინანსმა ჩემს უბანს ხესხის გავრცელების ტექნიკური მბარის სახელმძღვანელოდ მოამაგრა 2 ინსპექტორი — გერმანაშვილი და ბორსკი. გამოცსადდა მხოლოდ გერმანაშვილი, ბორსკი თვალითაც არ მინახავს, მის მაგივრად მე მომიხდა მუშობა, რამაც აუ: ეებელ. დრო წამართვა. ფინგანმა ბორსკის დეზერტირობა უბრალოდ გაამართლა: — „ტრანსპორტი არ გვქონდაო“.

ფეიქრიშვილთან საუბარმა მრავალი ასეთი შემთხვევა გამოარკვია.

სახალხო განათლების რაიონული განყოფილების მუშაკები იმდენად გათამამდენ, რომ რაიკომის ინსტრუქტორს, თავისი შეხედულებით „წინადადების მიცემაც“ კ დაუწყეს. ამას წინათ განათლების განყოფილების ინსტრუქტორებმა: ბურდიანმა, შაულაიამ და ფოცხიშვილმა შეამოწმეს ქისტაურის და ზემოხოდანის სკოლები, მოიწვიეს საბჭოში თათბირი და გამოიტანეს გრძელი დადგენილება, რომელშიაც ერთი ასეთი პუნქტია: „დაევალოს რაიკომის ინსტრუქტორ ამხ. ფეიქრიშვილს ან ადგილობრივი განყოფილების მუშაკები კი, რომელთა ერთადერთ მოვალეობას რძის ნაწარმის დამზადების ხელმძღვანელობა შეადგენს. თელავიდან ფეხს არ იცვლიან ამ იმედით, რომ რაიკომის ინსტრუქტორები ყველაფერს გააკეთებენო.

მოყვანილი ფაქტები ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად სუსტად გარდაქმნა მუშობა ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სოფლის საბჭოთა და კოოპერაციულთ ორგანიზაციათა დიდმა ნაწილმა. საჭიროა გადამწყვეტი ღონისიძებების მიღება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. რაც შეეხება რაიკომების ინსტრუქტორთა განტვირთვას, ეს საკითხი მკვეთრად უნდა დაისვას. რაიკომის ინსტრუქტორს უნდა ჩამოვაშოროთ წვრილმანი სამეურნეო და ყველა სხვა საკითხი, რომელსაც უშუალო კავშირი არ აქვს პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობასთან. რასაკვირველია, ინსტრუქტორი ვერ გაექცევა სამეურნეო კამპანიებში მონაწილეობას და ხელმძღვანელობას. მაგრამ ეს მუშობა იმგვარად უნდა მოეწყოს. რომ მთელი თავისი სიმძიმით მხოლოდ ინსტრუქტორს არ აწვებოდეს.

საინტერესოა ერთეული კომუნისტებთან მუშაობის საკითხი. ამხ. ფეიქრიშვილს უბანში, როგორც ვთქვით, 6 ერთეული კომუნისტია. ფეიქრიშვილი აცხადებს, რომ ძლიერ უძნელდება ერთეულებთან მუშაობა: ვერ ხვდება მათ, ვერ აბამს პარტგანათლების სისტემაში და სხვ. ცხადია, თუ ერთეულები ასეთ მდგომარეობაში დარჩენ, ისინი პარტიულ ცხოვრებას თანდათანობით ჩამოშორდებიან. ამხ. ფეიქრიშვილს ჯერ ჯერობით გამოსავალი ვერ მოუნახავს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტრუქტორებს შორის გამოცდილებათა გაზიარებას. ამ მიზნით საჭიროა დროგამოშვებით ეწყობოდეს მათი თათბირები რაიკომებში, თელავის რაიკომს ასეთი თათბირების შემოღება დღემდე მხოლოდ განზრახული აქვს.

ჯ. ჩარკვიანი.

ფორმალურად გარდაქმნეს

(ხარაგოული, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხარაგოულის რაიონში ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობა ფორმალურად არის გარდაქმნილი. უჯრედებს მხოლოდ სახელი შეუცვალეს, მუშაობა კი ძველებური დარჩა.

ამის მაგალითს იძლევა სოფ. გრიგალათის კოლმეურნეობასთან არსებული საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია. იგი აერთიანებს პარტიის სამ წევრს და 5 კანდიდატს, პარტორგანიზატორად გამოყოფილია ალექსანდრე გრიგალაშვილი.

აქ ჯერ კიდევ საფუძვლიანად დამუშაოებული არ არის მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილება პარტორგანიზაციის გარდაქმნის შესახებ, გარდაქმნა მხოლოდ ფორმალურად ჩაატარეს.

— „ჩვენ უკვე გარდავქმენით პარტორგანიზაცია. ახლა ჩვენ ორგანიზაციას პირველადი პარტორგანიზაცია ეწოდება. ოჯმში ძველს მაგივრად, ახალ სახელს ვწერთ, ოღონდ ჩვენ არ ვიცით, რატომ გამოუცვლელ სახელი ან რა განსხვავებაა უჯრედსა და პირველად პარტორგანიზაციის შორის“—განაცხადა პარტორგანიზატორმა ალექსანდრე გრიგალაშვილმა.

— როგორია კომუნისტების ავანგარდული როლი? დაასახელეთ რამდენი შრომა-დღე აქვთ გამომუშავებული. რომელი კომუნისტია მოწინავე და რომელი ჩამორჩენილი—ვეკითხებით პარტორგანიზატორს.

— ავანგარდული როლი კარგია; ხოლო ვერ გიტყვით რამდენი შრომა დღე აქვს გამომუშავებული თვითეულს. რადგან მოანგარიშისაგან ცნობები არ ამიღია—აცხადებს გრიგალაშვილი.

ბაღორკვევამ დაგვანახა, რომ კოლმეურნეობაში არ კომუნისტების ავანგარდული როლი ჩამორჩენილია. კომუნისტ თომა ხაჩიძეს დღემდე მხოლოდ 40 შრომა-დღე აქვს გამომუშავებული, კომუნისტ იასონ გრიგალაშვილს გამომუშავებული აქვს 41 შრომა-დღე, იმ დროსაც უპარტიო დამკვრელმა კოლმეურნემ პორფილე გრიგალაშვილმა 98 შრომადღე გაწიოიმუშავა და სხვ.

პოლიტსწავლების საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის. აი ფაქტები: დღემდე უმიზეზოდ ჩაშლილია 9 მეცადინეობა. მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრებას უდიციპლინობა ახასიათებს. მსმენელ გრიშა ნოზაძის გაცდენილი აქვს 13 მეცადინეობა, სერგო გელაშვილს — 15 მეცადინეობა. თვით პარტორგანიზატორი გრიგალაშვილი მხოლოდ 9 მეცადინეობას დაესწრო.

კომუნისტები კოტე გრიგალაშვილი და იასონ გრიგალაშვილი სისტემატიურად აკლდებიან მეცადინეობას, პარტორგანიზაციას კი მათ წინააღმდეგ ზომები არ მიუღია.

კოლმეურნეობაში მახინჯად ტარდება სანარდო სისტემა ნამუშევარს ინდივიდუალური წესით კი არ აღრიცხავდენ, არამედ ჯგუფურად და შემდეგ თანასწორად ყოფდენ თითეულ წევრზე; ასე რომ, ჯგუფში კარგ და უხეირო მუშას თანასწორად ეწერება ნამუშევარი.

კოლმეურნეობაში სხვა დეფექტებიც არის, რომლის გამოსწორებისა თვის პარტორგანიზაცია არ ზრუნავს.

პარტორგანიზატორი გრიგალაშვილი ჯერ კიდევ ვერ დაეუფლა ოპერატიულ ხელმძღვანელობას. იგი სხდომების მოწვევით და ოქმების წერით ქმაყოფილდება.

სოფელ ვრიგალათის პარტორგანიზაციაში მე-17 პარტყრილობის შედეგების დამუშავება და კერძოდ ორგანიზაციის გარდაქმნა დავალებული ჰქონდა რაიკომის პ. მ. ინსტრუქტორ ამხ. ვასო კაპანაძეს. ეს დავალება დღემდე სათანადოდ შესრულებული არ არის.

აკ. ჯანკვეტაძე.

საყვედურის ფემდეგ...

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

სოფ. 1-ლი სვირის ამხ. ცხაკაიას სახ. მევენახეობის კოლმეურნეობაში პარტორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნამდე დიდ გარღვევებს ჰქონდა ადგილი. ამას ხელს უწყობდა უჯრედის ყოფ. მდივნის ამხ. გ. ფერაძის მოუქნელი მუშაობა, რის შესახებაც გაზ. „კომუნისტშიაც“ იყო გამოქვეყნებული წერილი. ზესტაფონის სამაზრ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ უთავბოლო მუშაობისათვის ფერაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, რის შემდეგ ამხ. ფერაძე გამოსწორდა. პარტორგანიზაციის გარდაქმნის დღიდანვე მეურნეობას გამოეცხლება დაეტყო, მოისპო სამუშაო დღის გაცდენები, რასაც წინათ სისტემატიური ხასიათი ჰქონდა.

ამ კოლმეურნეობაში მუშაობს სულ 80 კოლმეურნე. მათ შორის პარტიის წევრია—7, კანდიდატი, 2, კომკავშირელი—9.

პარტიის წევრები სწორად არიან განაწილებული ბრიგადებში. მუშაობის იშვიათ ნიმუშს იძლევიან კოლმეურნეები: ამხ. ცერცვაძე, რომელსაც გამომუშავებული აქვს 126 შრომადღე, გიორგი დვალიძე—130, დ. ჭულუხაძეს კი უწერია 140 შრომადღე, ის ხათანადოდ დახელოვნებულია ვაზის მოვლის საქმეში და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს ბრიგადის დანარჩენ წევრებს. ამხ. [illegible]ობაძე წინათ კოლმეურნეობის ბოსელში მუშობდა, მაგრამ რადგანაც № 3 ბრიგადაში ძლიერ მოისუსტებდა შრომის დისციპლინა და გეგმებსაც ვერ ასრულებდენ, პარტორგანიზატორმა ამხ. გ. ფერაძემ საჭიროდ სცნო მისი გადმოყვანა, რამაც მე-3 ბრიგადა მოკლე ხნის განმავლობაში ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადად გახადა. მაგ., ვენახის მოხვევა უნდა დამთავრებულიყო 30/IV-მდე, მაგრამ მე-3 ბრიგადამ მუშაობის ტემპების გაძლიერების შედეგად 22 აპრილს, ე. ი. 8 დღით ადრე შეასრულა მოცემული გეგმა და შემდეგ სხვა სამუშაოს—ვენახის გათოხვნას შეუდგა.

კოლმეურნეობაში მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება, გარდა პოლიტსკოლისა, რომლის მეცადინეობაც დეკადაში ერთ ხელ ხდება, ეწყობა აგრეთვე მინდვრად, ბრიგადებში. ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობს პარტორგანიზატორი ამხ. ფერაძე. სადილობის დროს ის მიდის მინდვრად, ადგილებზე საჭირო ლიტერატურით, უკითხავს კოლმეურნეებს და ეხმარება მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში.

ბრ. არაბსია.



გურიაანთას კოლმეურნეობის მე-4 ბრიგადია ჯგუფორგანიზატორი, ატარებს საუბარს ბრიგადის წევრებთან გეგმების შესრულებაზე.

გავაუმჯობესოთ ბიბლიოთეკების მუშაობა

სოციალისტური აღმშენებლობის ახლანდელ საფეხურზე ჩვენს წინაშე მწვავედ დგას ამოცანა ქაპიტალიზმის ნაშთების საბოლოოთ აღმოფხვრისა არა მხოლოთ ეკონომიკაში, არამედ ადამიანების შეგნებაშიც. ამიტომაც სახალხო განათლების მთელი ქსელისა და აღმზრდელობითი საქმიანობის ორგანიზაციული განმტკიცება ერთ - ერთი ძირეული და მეტათ აქტუალური ამოცანაა.

ამ საკითხს ეხება საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 13 მაისის დადგენილება საბიბლიოთეკო საქმის შესახებ.

საბიბლიოთეკო მუშაობის დარგში თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს საქართველოს ს.ს. რესპუბლიკაში. გაიზარდა ბიბლიოთეკათა ქსელი აღმოცენდა სრულიად ახალი ტიპის ბიბლიოთეკები ფაბრიკა - ქარხნებში, კოლმეურნეობებში და ახალმშენებლობაზე და მოძრავი ბიბლიოთეკები ცეხებში და წითელ კუთხეებში, საგრძნობლათ გაიზარდა ბიბლიოთეკებში წიგნების ფონდი, შეუჩერებლათ იზრდება მკითხველთა რიცხვი.

მიუხედავად ამ მიხწევებისა „მასიური ბიბლიოთეკების მუშაობა და მდგომარეობა ბევრგან ჯერ კიდევ არა დამაკმაყოფილებელია... ჩვენი მრეწველობის სწრაფი განვითარებისა, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნისა და მშრომელ მასებთა შორის კულტურის შეუჩერებლათ ზრდის პირობებში საბიბლიოთეკო საქმის ასეთი მდგომარეობაში დატოვება დაუშვებელია“ (ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებიდან).

მთავარი მიზეზი საბიბლიოთეკო საქმის არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა ამაშია, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და პროფკავშირები, ცუდათ ხელმძღვანელობენ საბიბლიოთეკო საქმეს: „ბიბლიოთეკების დაკომპლექტება, წარმოებს შემთხვევით და არა ორგანიზებულათ; მთელ რიგ ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის თხზულებები, არ არის აქტუალური პოლიტიკური და ადრო - ტექნიკური ლიტერატურა, ხოლო ზოგიერთ რაიონებში კი ჯერ კიდევ სრულიად არაა დაარსებული ბიბლიოთეკები; ბიბლიოთეკების მომუშავეთა შემადგენლობა არ არის კვალიფიციური და იდეურათ საკმაოდ გამობრძმედილი საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელობისათვის; საბიბლიოთეკო კადრების მომზადება -გადამზადება არადამაკმაყოფილებელია.

ამასთანავე ზოგიერთ ქალაქებში და რაიონებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ბიბლიოთეკების შეუფასებლობას და მათდამი დაუშვებელ მოპყრობას, რაიც გამოიხატება ამა თუ იმ ბიბლიოთეკის სრულიათ შეუფერებელ შენობებში გადატანაში.

პლეხანოვის სახელობის ბიბლიოთეკას ლენინის რაიონში, გასული წლის ზაფხულში წაერთვა ბიბლიოთეკის შენობა და მოთავსებულ იქნა სასკოლო შენობაში (ვითომც დროებით), საიდანაც ის სკოლის მიერ გამოსახლებულ იქნა სასწავლო წლის დაწყებისთანავე. ამნაირათ ათი თვეა აღნიშნული ბიბლიოთეკა არ მუშობს, მას ჯერაც არა აქვს მიჩენილი შესაფერისი შენობა, [illegible] ფონდის ნაწილი დაიკარგა, ხოლო მომუშავენი იღებენ ხელფასს და დღემდე უქმათ დადიან.

დაახლოებით იგივე ბედი ეწვია ამ რამდენიმე დღის წინათ **წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკას** ორჯონიკიძის რაიონში. თუ აქ, თფილისში, ჩვენ თვალისწინ ბიბლიოთეკა-სადმი ასეთ დაუშვებელ მოპყრობას აქვს ადგილი, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობა იქნება ამ მხრივ რაიონებში.

ბიბლიოთეკის საქმის სწორი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენათ **მტკიცე კონტროლს უწევენ სახალხო განათლების ორგანოები მათ საქმიანობას და რამდენათ მიზანშეწონილათ და სწორათაა შერჩეული საბიბლიოთეკო საქმის მუშაკები.** აი ამიტომ მთავრობის დადგენილებით სახალხო განათლების კომისარიატთან არსებება საბიბლიოთეკო სამმართველო, რომელიც მ წოდებულია **მტკიცე სახელმწიფო კონტროლი გაუწიოს** რესპუბლიკაში არსებულ ყველა ბიბლიოთეკებს, მიუხედავათ იმისა თუ რომელ ორგანიზაციას ეკუთვნის იგი. ამავე მიზნით ყველა რაიონების განათლების განყოფილებებში არსდება სპეციალური საბიბლიოთეკო ინსპექტორების თანამდებობა, რომელთა ამოცანაა სახელმწიფო ბიბლიოთეკებს უშუალო ხელმძღვანელობა და საზოგადოებრივ ორგანოებთან არსებული ბიბლიოთეკების კონტროლი.

დადგენილება ითვალისწინებს ბიბლიოთეკების მატერიალური ბაზის გამტკიცებას საბიბლიოთეკო შენობების ახალმშენებლობას და არსებული შენობების კაპიტალურ შეკეთებას 1934-35 წლის განმავლობაში, რისთვისაც სათანადო მითითება აქვს მიცემული საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა კომისარიატს.

კატეგორიულათ **აკრძალულია ბიბლიოთეკების გამოსახლება და ჩასახლება შეუფერებელ შენობებში,** რაც ბოროტმოქმედებას უიდრ

სანიმუშოდ მოვამზადოთ და ჩავაგაროთ

1912 წ. დაბადებულთა გაწვევა წითელ არმიაში

მოსამზადებელი მუშაობის ნაკლოვანებანი

1912 წ. დაბადებულთა გაწვევა მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიაა; იგი მოითხოვს საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოთ წითელი არმიის შევსება კლასობრივად საიმედო კონტიგენტით, არ დაუშვათ კლასობრივი მტრის შეპარვა მის რიგებში, მივაცეთ არმიას წერაკითხვის მცოდნე, გასამხედროებული და ფიზიკურად ჯანსაღი შევსება.

მიუხედავად ასეთი რთული ამოცანებისა, მთელ რიგ რაიონებში წვევამდელთა კლასობრივი შერჩევა კანონიერი წესით მიმდინარეობს. ფართოდ არ არის ჩაბმული საბჭოთა საზოგადოებრიობა და თვით გაწვევი ახალგაზრდობა გასაწვევთა სიების ტესტირებაში, ამ სიებს არ აკონტროლებენ თვალსაჩინო ადგილებზე, რომ ამით საშუალება მიეცეს მშრომელ მოსახლეობას იქონიოს მსჯელობა გასაწვევზე. წარმოება დაწესებულებათა სამკუთხედები, კოლმეურნეობათა და სოფლის საბჭოს თავმჯდომარეები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აფასებენ წვევამდელთა შემადგენლობის შესწავლის მნიშვნელობას. არის შემთხვევები როდესაც მახლობელ რაიონიდან სამუშაოზე ჩამოსულ გასაწვევ ახალგაზრდას არ თხოვენ დახასიათებას, რადგან ფიქრობენ: „გაწვევის დროს ის დაუბრუნდება თავის რაიონსო“ საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეუწყნარებელია.

წითელი არმია მოითხოვს წერა - კითხვის მცოდნე შეივსებს. მაგრამ ბევრმა რაიონმა წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მნიშვნელობა ვერ შეაფასა. შემოწმება ნათელყოფს ამას.

მთელი რიგი რაიონები, როგორიცაა სიღნაღის, ალბულაღ - მანგლისის, ბოგდანოვკის, სამხრეთ - ოსეთის, ბორჩალოს, ადაგენის, ერწო - თიანეთის და სხვ. ამ მხრივ ჩამორჩენილნ. რით ხსნიან ამ ჩამორჩენას ადგილობრივი მუშაკები? მხოლოდ და მხოლოდ „ობიექტიური“ მიზეზებით. მათ-თვის ხშირად გიგიოგიანი: „ვერ შევძელით დასწრების უზრუნველყოფა“, „ჩვენ ბევრი სხვა სამეურნეო ხასიათის დავალება გვაქვს და ვერ ვიცლით ჯარში გაწვევის მოსამზადებელი მუშაობისათვისო“ და ... ამგვარი.

წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისადმი აშკარა ოპორტუნისტულმა მიდგომამ, განსაკუთრებით განათლების განყოფილებათა გამგეების მხრით, ხელმძღვანელობის კანცელარიულ - ბიუროკრატიულმა მეთოდმა გაოღვევამდე მიგვიყვანა ამ დარგში; ამიტომ, აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებებს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

არც გამაჯანსაღებელი მუშაობის დარგში გვაქვს კარგი მდგომარეობა. განსაკუთრებით ჩამორჩენილი მალარიანი რაიონები.

არ წარმოებს გასაწვევების პერიოდული საექიმო შემოწმება, მათ შორის სანმინიმუმის პროგრამაც. ავადმყოფი წარიგზავნების ექიმების მკურნალობა ძლიერ ცუდად არის დაყენებული.

სუსტია სააგიტაციო - მასობრივი მუშაობა გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის. პროფკავშირიმ, კლუბები და სოფლის საკითხველოები ჯერ კიდევ არ გადარაზმულან გაწვევის ამოცანების პოპულარიზაციისათვის ბრძოლაში. მოწყობილი არ არის საცნობარო მაგიდები კლუბებში და სამკითხველოებში, იშვიათად ნახავთ ლოზუნგებს, პლაკატებს და სხვა თვალსაჩინო საგიტაციო მასალას, გამოყენებული არ არის რადიო.

ეი ის ნაკლოვანებანი, რომელიც ხელუშლის გაწვევისათვის მოსამზადებელი მუშაობის გაშლას და რომელთა, ... ამ თავითვე სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ რაიონულმა პოლიტიკულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა.

გ. სხვიტარიძე

აი რა საკითხებს არ აქცევენ ყურადღებას

(ტფილისის რაიონი)

ტფილისის ზოგიერთი საბჭოთა ორგანიზაცია წითელ არმიაში მორიგი გაწვევისათვის მოსამზადებელ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს, რასაც მოწმობს ტფილისის საბჭოსთან არსებული გაწვევის დამხმარე კომისიის გამოკვლევის მასალები. 1912 წელში დაბადებულთა გაწვევის ორგვლივ ჯერ კიდევ ფართოდ არ არის გაშლილი საგიტაცია — მასობრივი და ანსა - განმარტებითი მუშაობა. ბანსკოურებით ჩამორჩენა ადგილობრივ პროფკავშირთა ორგანიზაციები, რომლებიც ამ დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ კამპანიის ზერელედ უყურებენ. გაწვევის პოპულარიზაციაში ხუსტ მონაწილეობას ღებულობენ ავრეთვე სარაიონო და წარმოება - დაწესებულებების კლუბები. იმის საცვლად, რომ სათავეში ჩაუდგნენ გაწვევის კამპანიის და უზრუნველყონ მოსამზადებელი მუშაობის გაშლა ისინი სრულ უმოქმედობას იჩენენ მთელი რიგ კლუბებში დღემდე მოწყობილი არ არის საცნობარო მაგიდები და არ ტარდება კონსულტაციები გაწვევის საკითხებზე.

ძლიერ სუსტად მიმდინარეობს გასაწვევთა კლასობრივი შერჩევა. წითელი არმიისათვის კლასობრივად საიმედო შევსების მიცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაწვევის წარმატებით ჩატარებაში. მორიგი გაწვევის დროს წითელ ჯარს უნდა მივაცეთ მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ა.ლგაზრდები, არცერთი კლასობრივად უცხო ელემენტი არ უნდა მოხვდეს წითელ ჯარში. ამიტომ ახალგაზრდობის კლასობრივ შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ საქმეში უნდა ჩაებათ ადგილობრივი პარტიული, კომკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციები, ყველა მშობლელნი და პირველ რიგში თვით წვევამდელები. მათი უშუალო დახმარებით უნდა გაეცხრილოთ გასაწვევთა სიები დ. დ.უნდომდლად ვამბილოთ ყველა კლასობრივად უცხო, მერყევი და ანტიმორალური წარსულის მქონე ელემენტები, რომ გაწვევის დროს წითელ არმიაში არ შეგვეპაროს ჩენთვის მიუღებელი პიროვნებები. საკმარია ამთავითვე განსაკუთრებული სიფხიზლით და ყურადღებით მოვეპყრათ წვევამდელების შესწავლას და მათი დახასიათების შედგენას. არსებული საბუთებიდან კი ვხედავთ, რომ ზოგიერთები ამ საქმეს ზერელედ უყურებენ და ხშირად ადგენენ ფორმალურ, მშრალ დახასიათებებს, ისე რომ ... წამკითხავს პიროვნების სოციალური მდგომარეობაზე და მის პოლიტიკურ განწყობილებაზე არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეუძლია. მაგალითად, ორგვლივ... ძის სახელობის რაონმა სამხკომისარიატს წარუდგინა წვევამდელების არასრული ზერელედ შედგენილი დახასიათებანი, რომლებიც მას უკანვე დაუბრუნდა ასე რომ ტყუილუბრალოდ დაიკარგა შრომა და დრო ორგვლივ...ძის რაონის საბჭოს საოლ განწყობიანი განყოფილების მომუშავეებმა, სათანადოდ ვერ მოაწყვეს ეს საქმე და ვერ დეხმარენ წარმოება - დაწესებულებებს დახასიათებათა შედგენაში.

ამ საქმეში ჩამორჩენა აგრეთვე 26 კომუნარის სახ. რაიონი; შედარებით კარგად არის დაყენებული საქმე ლენინის, სტალინის და გარეუბნის რაიონებში.

მორგმა გაწვევამ წითელ არმიას უნდა მისცეს ჯანმრთელი, გამძლე და ამტანი შეფსება, ამიტომ წვევამდელთა წინასწარ საექიმო შემოწმება და მათ შორის გამოჯანსაღებელი მუშაობის ჩატარება გაწვევის წარმატების ერთერთი საწინდარია. წვევამდელთა წინასწარი საექიმო შემოწმების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გასაწვევი ასაკის პირთა შორის გამორკვეულ იქნას სამხედრო სამსახურისათვის ვარგისთა საერთო რიცხვი, ამავე დროს აღრიცხოს სუსტები და ავადმყოფები და გაეწიოს მათ სისტემატიური მკურნალობა. სამწუხაროდ ბევრგან ამ მუშაობას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან. ჯანმრთელობის რაიგანყოფილებებს ტფილისში ჯერაც არ დაუმთავრებიათ წვევამდელთა წინასწარი საექიმო შემოწმება, დაიოგებული არ არის საექიმო ბარათები, არ ტარდება ტიფის საწინააღმდეგო აცრები და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

მორიგი გაწვევისათვის მზადების პერიოდში სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს გასაწვევი ახალგაზრდობის შეიარაღებას სამხედრო ცოდნით. ყაზარმაში მისვლისას ყოველი ახალწვეული უნდა იცნობდეს წითელი არმიის სტრუქტურას, უნდა ჰქონდეს ნათელი და გარკვეული წარმოდგენა თანამედროვე სამხედრო ტექნიკაზე და ზოგადად იცნობდეს წითელი არმიის შეიარაღებას. ეს აუცილებელია, რადგან წინასწარი სამხედრო მომზადება შესაძლებლობას მისცემს წითელ ყაზარმაში მისულ ახალგაზრდას ადვილად გაიგოთ: „ეარ შევძელით დასწრების უზრუნველყოფა“, „ჩენ ბევრი სხვა სამეურნეო ხასიათის დავალება გვაქვს და ვერ ვიცლით ჯარში გაწვევის მოსამზადებელი მუშაობისათვისო“ და ... ამგვარი.

ეს ... ამ ... ...

დედათა და ბავშვთა დარგაზი

ტფილისის სადგურზე

ტფილისის რკ. გზის სადგურმა გარდაქმნა თავ[illegible] მუშაობა მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მხრივ. სისუფთავის და წესრიგის სანიმუშოდ დაცვა, მგზავრებისათვის დასასვენებელი დარბაზების მოწყობა, სადგურის შენობის გამწვანება — ყველა ეს ღონისძიება დღეს უკვე განხორციელებულია ტფილისის რკ. გზის სადგურზე.

სადგურთან ამჟამად უკვე გახსნილია დედათა და ბავშვთა დასასვენებელი დარბაზი. ბავშვიან მგზავრებს ტფილისში ჩამოსვლისას შეუძლიათ დასტოვონ აქ ბავშვები და თითონ კი გავიდენ ქალაქში [illegible] საქმეებზე. დარბაზში ბავშვებს მოუვლიან — დაბანენ, აკმეენ, დააძინებენ და გაართობენ. მოწყობილია ცალკე დარბაზი [illegible]ბისათვის. ბავშვებთან ერთად მათაც შეუძლიათ დასვენება და დროის კულტურულად გატარება.

სურათზე: დედათა და ბავშვთა დარბაზი ტ[illegible]ილისის სადგურზე.

ამინდი საქართველოში

8 ივნისის დილის 8 საათიდან 9 ივნისის დილის 8 საათამდე

დასავლეთ საქართველოში დღისით დაიწყო მოღრუბლულობის ზრდა და რაიონების უმეტესობაში მოვიდა წვიმა. ყველაზე მეტი ნალექებია წიფის მიდამოებში (11 მილიმეტრი), ხოლო დანარჩენ რაიონებში ნალექების რაოდენობა არ აღემატ[illegible] ბოდა 1 მილიმეტრს. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 16 გრადუსიდან (ზუგდიდი) 29 გრადუსამდე (ჭიათურა) და ღამით 13 გრადუსიდან (ონი) 20 გრ[illegible]ისამდე (ფოთი). ქროდა უმთავრესად დასავლეთის ქარი, რომელიც ზუგდიდისა და წიფის რაიონებში [illegible]ერი სიძლიერისა იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ღილიდანვე იდგა მშრალი და უმთავრესად მზიანი ამინდი. საღამოს და ღამით — სოხუმის, ბორჯომის აბასთუმანის, სტალინირის [illegible]ის და ტფილისის მიდამოებში მოვიდა წვიმა. ყველაზე მეტი ნალექებია ბორჯომის მიდამოებში (8 მილიმეტრი), ხოლო დანარჩენ რაიონებში ნალექების რაოდენობა არ აჭარბებს 1 მილიმეტრს. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 21 გრადუსიდან (აბასთუმანი, ახალქალაქი) 30-31 გრადუსამდე (თელავი, ლაგოდეხი, ტფილისი). მდ. მტკვრის ზეობაში ქროდა დასავლეთის ძლიერი ქარი.

მოსალოდნელი ამინდი 10 ივნისისათვის: **დასავლეთ** საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგიერთგან **სუსტი** წვიმა და სუსტი ქარი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით სიმშრალე. ნაშუალამევს მოსალოდნელია სუსტი წვიმა ზოგიერთ რაიონებში. მოსალოდნელია აგრეთვე ქარის შესუსტება და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

მარგანეცი

7 ივნისს

სახაძონლო პროდუქციის გამოშუშავება (ტონოგით)

[illegible]	ფაქტიური	%
3.026	2.842	93,9

ვაგონების მიწოდება

მოთხოვნილ[illegible]	მიაწოდეს	დაიტვირთ[illegible]
198	187	187

ბიბლიოგრაფია

6. მარი. ისტორიული პროცესის საკითხებანი დ. კარბელაშვილისა სახელგამოცემისათვის იაფეტურ თეორიის გაშუქებით. მოსკ., 1934 წლ. გამოცემა.

ეს შრომა 6. მარის მიერ მოხსენების სახით წაკითხული იყო 1929 წ. ისტორიკოს მარქსისტთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე, იგი იაფეტური ენათმეცნიერების განვითარების ახალი ეტაპის ნაყოფია.

ავტორი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ცხადდება ენაში ისტორიული პროცესი. ენა საუკეთესო ძეგლია ისტორიულ სინამდვილის შესახებ. „ენა ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედების და მისგან ჩასახულ შინაგან ცხოვრების გამოცხადება არის“ — ამბობს ავტორი.

ინდოევროპეისტიკის „დამტირებლების“ ბრალდება იმის შესახებ, რომ იაფეტური ენათმეცნიერების ზოგიერთი სამეცნიერო საკითხები თითქოს უკვე დიდიხანია დასმული იყოს ინდოევროპეისტიკის მიერ, ყოველად უსაფუძვლო „ბრალდებაა“, რადგან საქმე საკითხის დასმაში კი არ არის, არამედ იმაში, თუ როგორ გადაწყვეტეს იგი. ამ საკითხშია, ინდოევროპეისტიკამ, როგორც ბურჟუაზიული კლასის სამსახურში მყოფმა და მისი ინტერესების დამცველმა მეცნიერებამ, საშინელი მარცხი განიცადა.

სარეცენზიო შრომაში მოთავსებულია მარქსისტ - ისტორიკოსების სიტყვები 6. მარის მოხსენების და საერთოდ იაფეტიდოლოგიის შესახებ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა სიტყვები: **მ. 6. პოკროვსკის, ბიკოვსკის, რუბინშტეინის, კუშნერის, მუხარაძის და აპტეკარის.**

6. მარი ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ კავკასიაში მცხოვრებ თვითეული ხალხის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული კავკასიის ისტორიასთან, „შეუძლებელია თვითეული ხალხის ნაციონალური ისტორიის გაშლა — წერს 6. მარი — საერთო ისტორიული პროცესის ანგარიშგაუწევლად“ (გვ. 3).

ორიოდე სიტყვა ზემოდასახელებულ შრომის თარგმანის შესახებ. საერთოდ 6. მარის შრომების თარგმნა სძინელეს წარმოადგენს. ყველაზე მეტად ეს შეეხება. 6. მარის მიერ ხმარებულ ტერმინების ზუსტად გადმოცემას. ეს ცხადია ყველა მათთვის, ვისაც 6. მარის ნაწერები წაუკითხავს. 6. მარის შრომების ქართულ თარგმანს კიდევ ახლავს ერთი უხერხულობა. სახელდობრ ის, რომ ტფილისში არ მოიპოვება იაფეტური ტრანსკრიპციის შრიფტი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართული თარგმანის ხარისხზედაც.

დ. კარბელაშვილის თარგმანს, მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი მზრუნველობითაა შესრულებული, მაინც ბასიათეს ბნიშვნელოვანი დეფექტები. მაგ. იმის მაგივრ, რომ იყოს: „ულტურა და კულტურული ცნებათა მიმართ“ — წერია: „ცნების“ „კულტურა“ და „კულტურული“-ს მიმართ (გვ. 4), Поверхностный თარგმნილია „ზევ-ზევო“-ათ (გვ. 5), რაც არაა სწორი. წინადადება: **ინ სებ ინჟილ** თარგმნილია — „თავი ამოიკამა“ (გვ. 55) (ლაბორატორია ტერმინ „იაფეტურ“-ზე შეუძლებელია ტერმინმა „თავი ამოიკამის“); ასევე ომერთებულად მიგვიჩნია ჩვენ თარგმანი „ხაზობრივ მეტყველებათ“. უმჯობესია ითარგმნოს „ხელის ენათ“ ან „კინეტურ მეტყველება“-თ.

მიუხედავად ამ ნაკლისა, სარეცენზიო შრომის ქართულად თარგმნა მაინც დიდმნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ს. ულენი

წყალტუბოს ახალი სანატორიუმი

გაიხსნება აგვისტოში

მიმდინარე წლის პირველ იანვლისდან პირველ აგვისტომდე წყალტუბოში აშენებული დასასვენებელი სახლი დაიკ[illegible]ება მისი სანატორიუმად გადაკეთების გამო. ამ ხნის განმავლობაში მოხდება შენობის მოლიანი რეკონსტრუქცია, გაუკეთდება კაპიტალური რემონტი, შეკეთდება წყალსადენი და კანალიზაცია. ამასთან დაემატება სანატორიუმისათვის საჭირო ახალი დამხმარე სათავსოები.

განახლებული სანატორიუმი წყალტუბოში გაიხსნება აგვისტოში.

* * *

ქრონიკა

— სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. 12 ივნისს 12 საათზე ტფილისის სამხატვრო აკადემიის შენობაში (გრიბოედოვის № 22) გაიხსნება წლიური საანგარიშო გამოფენა სტუდენტთა ნამუშევრებისა (მხატვრობა, ქანდაკება, გრაფიკა, კერამიკა).

— დისპუტი. 10 ივნისს საღ. 8 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13) შესდგება კომპოზიტორ **თამარ ვახვახიშვილის** შემოქმედების სალამო-დისპუტი.

— 10 ივნისს საღ. 8 საათზე „კოოპერატის“ რედაქციის კომკავშირის ორგანიზაცია რედაქციის ბინაზე (რუსთ. 16) აწყობს მოხსენებას თემაზე: **როგორ უნდა მუშაობდეს ახალგაზრდა ჟურნალისტი** (მომხს. ამხ. აკ. ჭყონია).

მოწვეულია არიან ცენტრ. და საქალაქო-საფან. ნაბეჭდი გაზ. რედაქციების თანამშრომლები. დასწრება თავისუფალია.

— 11 ივნისს საღ. 7.-ნახევარ ს. სახ. უნივერსიტეტის სამუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრე, ქიმ. აუდიტორიაში აწყობს **კოსტავას** წიგნის „არაორგანიული ქიმიის სახელმძღვანელოს“ კრიტიკულ განხილვას.

მშვენდება ტფილისი ახალი არქიტექტურული ნაგებობებით

იზრდება ტფილისი მცხოვრებთა რაოდენობით, ტერიტორიალურად და ახალი შენობებით. ახალი სტილის, ახალი არქიტექტურული გაფორმების მონუმენტალურ შენობათა რიცხვი სისტემატიურად მატულობს. სულ უახლოეს წლებში რუსთაველის პროსპექტს დაამშვენებს კიდევ ორი ახალი დიდი სტილიზებული შენობა—სტალინის ინსტიტუტი და მთავრობის სასახლე. ყორესის ქუჩაზე შენდება წიგნის სასახლე, კამოს ქუჩაზე საავჭრო დარგის მუშაკთა კულტურის სახლი და სხვ.

ქალაქის გენერალური გეგმა, **რომლის** საბოლოო დამუშავება ამჟამად მიმდინარეობს, ითვალისწინებს ახალი ქუჩების გაკეთებას შენობების სათანადო გაფორმებით. პატარა, ერთ და ორ სართულიანი შენობების აგება ნებადართული არ არის არა თუ ქალაქის ცენტრში, არამედ განაპირა უბნებშიც.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვაკეზე წარმოებული მშენებლობის არქიტექტურუ. გაფორმებას. ვაკე —გამოცხადებულია სამეცნიერო დაწესებულებათა უბნად. ახალი ობიექტების აგებისას აქ სავალდებულოა ქალაქის მხატვრულ არქიტექტურული მოთხოვნილებების დაცვა.

ამჟამად უკვე დაწყებულია და წელს უნდა დამთავრდეს ვაკეზე ახალი დიდი პოლიკლინიკის მშენებლობა. დაწყებულია აგრეთვე საამშენებლო პროექტთა [illegible]ამიანი გამოფენის შენობა. ორივე ეს ნაგებობა გაფორმებული უნდა იქნეს ტექნიკის და ხელოვნებისა ძღვრების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. პოლიკლინიკის ასაგებად მომდინარე წლისათვის გადადებულია 2 მილიონ მანეთამდე. საამშენებლო პროექტთა გამოფენის შენობის აგება დაჯდება 700.000 მანეთი.

სურათზე: მარცხნივ—ახალი პოლიკლინიკის და მარჯვნივ საამშენებლო გამოფენის შენობა[illegible] პროექტები.

ახალი საშუალებები მალარიის წინააღმდეგ

საბჭოთა კლაზმოციტი და ატებრინი შემოღებულია ხმარებაში

პლაზმოციტი და ატებრინი — მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატებია, ორივე ეს პრეპარატი ახალი გამოგონებაა და მათ საზღვარგარეთ აშზადებდენ. აღნიშნული პრეპარატების დასამზადებლად შარშან მოსკოვის სახელმწიფო ფიზიკო-ფარმაცევტიულ ლაბორატორიაში დაყენებული იყო ცდები, რომლებმაც კარგი შედეგი გამოიღო და გამონახულ იქნა საშუალება აღნიშნული პრეპარატების საქარხნო წესით დასამზადებლად.

პლაზმოციტს წელს საქართველოს ჯანმრთელობის ლიბერალს ისეთი რაოდენობით, რაც საესებით უზრუნველყოფს რესპუბლიკის მალარიანი რაიონების მოთხოვნილებას. ატებრინს კი ლენინგრადს უფრო მეოთე რაოდენობით კლინიკური დაკვირვებებისათვის.

საბჭოთა პლაზმოციტის და ატებრინის ხმარებაში შემოღებით გაადვილდება მალარიასთან ბრძოლის ფართოდ გაშლა და შემცირდება ქინაქინაზე მოთხოვნილება. ჩატარებული ცდებიდან გამოირკვა, რომ პლაზმოციტი და ატებრინი მალარიის წინააღმდეგ იძლევიან რადიკალურ ეფექტს.

საქ. საგზაო მწერლების კავშირის პლენუმი

15 ივნისს მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი, შემდეგი დღის წესრიგით:

1) „გარდაქმნის შედეგები ლიტერატურულ ფრონტზე“—მომხ. **გ. ტოროშელიძე.**

2) კრიტიკის შესახებ — მომხ. **დ. დემეტრაძე.**

3) პოეზიის შესახებ — მომხ. **ამხ. შ. რადიანი.**

4) პროზის შესახებ—ამხ. **ბეს. ჟღენტი.**

5) დრამატურგიის შესახებ—ამხ. **შ. დუდუჩავა.**

საქართველოს კურორტებზე

საკურორტო სამმართველოს კურორტებზე: ბორჯომში, აბასთუმანში და ფყალტუბოში სეზონი უკვე დაიწყო, ხოლო შავში, ბახმაროსა და ახტალაში სეზონი იწყება 15 ივნისიდან.

კურორტი ახტალა წელს უფრო გალამაზებული და გაფართოებულია, 15 ივნისიდან გაიხსნება პირველი სანატორიუმი (60 ადგილიანი). სანატორიუმში დასვენება დიეტურნალობა იწარმოებს სამ-სამი კვირით. ადგილები ბორჯომის, აბასთუმანის და წყალტუბოს სანატორიუმებში ზაფხულის პერიოდისათვის მოლიანად განაწილებულია. ახლა ადგილები ნაწილდება მხოლოდ შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის. შოგისა და ახტალის სანატორიუმების ადგილების ნაწილება ზაფხულის სეზონისათვის ჯერ არ დამთავრებულა.

სავაჭრო დარგის მუშაკთა

ბავშვების დასასვენებელი სახლი კოჯორში

კოოპერატიულ და სავაჭრო დარგის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობას კოჯორში მოწყობილი აქვს საბავშვო დასასვენებელი სახლი. სადაც მიმდინარე წლის ზაფხულში დაისვენებს 420 ბავშვი.

სახლი მოწყობილია საუკეთესოდ, ბავშვებისათვის მომარაგებულია საკვები პროდუქტები. აღმზრდელობითი და ფიზიკულტურულ მუშაობას უხელმძღვანელებს სამი პედაგოგი-აღმზრდელი და ფიზკულტურის ორი ინსტრუქტორი. მოწყობილია ბიბლიოთეკა, სხვადასხვა სათამაშოების კუთხეები, ფიზკულტურის მოედანი და ნაკადული.

მიმდინარე წლის განმავლობაში დასასვენებელი სახლისათვის გადადებულია 113.662 მანეთი. სეზონი გაიხსნება 15 ივნისს.

რესპუბლიკანური პროფკავშირული იხსნება

20 ივნისს

კოოპერატიული და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა აწყობს ერთ-თვიან რესპუბლიკურ პროფკურსებს სავაჭრო ორგანიზაციების ადგილკომების თავმჯდომარეების მოსამზადებლად. კურსები გაიხსნება კოჯორში 20 ივნისს. კურსებზე იმეცადინებს 70 კაცი.

გარდა რესპუბლიკური კურსებისა, პროფაქტივის ცოდნის ასამაღლებლად ტფილისის სხვადასხვა რაიონებში ეწყობა პროფაქტივის მასობრივი გადასამზადებელი კურსები 720 კაცისათვის.

აღნიშნული კურსებისათვის კოოპერატიულ და სავაჭრო დარგის მუშაკთა კავშირის ც. გამგეობამ გადასდო 35 თასმა მანეთი.

ერთი პირველთაგანი

გურულ მომღერალთა გუნდმა ამიერ - კავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე მიიღო პირველი ხარისხის სიგელი და პირველი კატეგორიის ჯილდო.

ამ გუნდს, რომელსაც სათავეში უდგას გურულ სიმღერების ცნობილი ოსტატი **ვარლამ სვიმონიშვილი.** საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

ის ჯერ კიდევ 1908 წელს ჩამოყალიბდა.

გუნდის ხელმძღვანელი ამხ. ვ. სვიმონიშვილი ამბობს: — ყოველგვარ საღსარს მოკლებულნი, შეცდომებულნი, მეფის ეანდარმებისა და მოხელეების მიერ, ჩვენ არ ვზოგავდით არაფერს, რომ აღგვედგინა ხალხში გაფანტული გურული სიმღერები, თავი მოგვეყარა მათთვის და შეგვენახა შეუღახავად მომავალი თაობისათვის. ცხადია, გვიჭირდა ძალიან... მაგრამ დაბერა ოქტომბრის ქარმა, დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში და ჩვენც გავშალეთ ფრთები — ამბობს გუნდის ხელმძღვანელი **ვარლამ სვიმონიშვილი.**

— გუნდი არსებობს ოზურგეთის ალმასკომის განკარგულების განყოფილებასთან. გუნდში ირიცხება 27 კაცი, ეს ტალანტად დამკვრელი კოლმეურნეები და მუშები. მათ შორის 6 პარტიელია. ადგილობრივი ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს გვიწყობს.



სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: 1) ვარლამ ნინიძე, 2) ვარლამ სიმონიშვილი, (გუნდის ხელმძღვანელი) 3) გიგო მგელაძე.

სალანდარი

საქალაქო ფაბრიკა უშვებს ტაბილეულის ახალ ასორტიმენტს

ტფილისფაბრეულმა ფაბრიკამ მე-17 პარტყრილლობისათვის ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის შედეგად მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს: ფაბრიკა წარმატებით ასრულებს საწარმოო-საფინანსო ზომებს, გაუჯობესებულია პროდუქციის ხარისხი და ათვისებულია ტაბილეულის ახალი ასორტიმენტის ბ[illegible]ეულ ტექნიკა.

აპრილში ფაბრიკამ გამოუშვა 250,5 ტონა ტაბილეული ,რაც გეგმის 107 პროცენტს უდრის. მაისის საწარმოო გეგმა ჯარიანად ასევე წარმატებით შეასრულა. ამჟამად ფაბრიკა უშვებს ტაბილეულის ასორტიმენტს, რაც უწინ ტფილისში არ კეთდებოდა. შოკოლადი, ირისი, ბისკვიტი, ბალეტი, 6 სხვადასხვა სახის კარამელი და სხვ. ასეთი ტაბილეულით ფაბრიკა ამარაგებს მუშაობა დახუთულ კოოპერატივებს.

16 მაისიდან ფაბრიკა [illegible]ება კვების საწარმოების კონკურსში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სურათზე: შოკოლადის საამქროში. უკან — შოკოლადის დამამზადებელი მანქანა.

გასწორება

„კომუნისტის“ ა.-წ. 20 მაისის ნომერში მოთავსებულ წერილზე („მიხედეთ სამიქალოს“) ჩვენი გაზეთის ბუნდოვანი ნომერში დაბეჭდილ ამაშის სამ.სტატ. სადგურის პოლიტგანყოფილების პასუხში სწერია: „აბაშის სამ.-სატ. სადგურის პოლიტგანყოფილება გვატყობინებს, რომ მთლიანად დადას ტურდა გაზ. „კომუნისტის“ ა.-წ. 20 მაისის ნომერში მოთავსებული წერილი. სამიქაოს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე პაველ ცოტაძის მიერ საზოგადოებრივ ქონების განაცალების, მწარმოელი გლეხობისადმი უხეშად მოპყრობისა და მათი ცემის შესახებ. ცოტაძე და სხვა დამნაშავე პირები მოხსნილი არიან სამუშაოდან“.

უნდა ეწეროს: „აბაშის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილება გვატყობინებს, რომ „კომუნისტის“ ა.-წ. 20 მაისის ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციაში ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე. გ. კარანაძის მიძართ წაყენებული ბრალდებები დადასტურდა, რის გამო 22 მაისს იგი მოხსნილია თანამდებობიდან“.

აბაშის რაიპოლკომი კი ამავე წერილის შესახებ გვატყობინებს, რომ სამიქაოს სოფ. საბჭოს თავმჯდომარე ცოტაძის სოფ. საბჭოს თავმჯდომარეობიდან მოსახსნელად აღძრულია საკითხი რაი-აღმასკომის წინაშე.

პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის გარეუბნის რაკომი იუწყება, რომ 10 ივნისს დილის 10 საათზე (ვაგზლის ქ. № 14) მოწვეულია **გარეუბნის რაკომის პლენუმი** შემდეგი დღის წესრიგით: **„მოსავლის დამუშავება-აღებისა და დამზადების შესახებ“.**

— 10 ივნისს საღამოს 8 საათზე, **ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებაში — ამხ. ორგაგელიძის კაბინეტში შესდგება თათბირი მედტექნიკუმების მუშაობის შესახებ.** თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მამალაძე, ღლონტი (ჯვარსახლობი), ქოჩრიაშვილი (ტფ. ჯვარშრომლობის განყოფილება), მეტრეველი (კომკავშირი). შ. ლეკვა (წითელი ჯვარი), გავაშელი (საგეგმო კომისია), ფინსახკომის და ა.-ჯ. რკ.-გზის წარმომადგენლები, პირველი მედტექნიკუმის დირექტორი, ოვანოვი (მეორე მედტექნიკუმი), ნათიშვილი (მესამე მედტექნიკუმი), დუდუნაშვილი, ლორთქიფანიძე (მეოთხე მედტექნიკუმი).

— საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანიზაციის განყოფილება იუწყება, რომ სურამის პარტიულ კურსიზეზე მოვლენილი ყველა მსმენელი დამტკიცებულია **აფხაიძის** (თბილისი), **დუმბაძის** (ოზურგეთი), **ჩარმაზიას** (ზუგდიდი) და **დუმბაძის** (აქაარისტანი) გარდა. ყველა მსმენელის გამოცდებია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 12 იენისისათვის. მეცადინეობა დაიწყება 14 ივნისს. მოვლინებულ მსმენელებს თან უნდა ქონდეთ: რაიკომის შუამდგომლობა, მოწმობა, თუ რა თანამდებობა უჭირავთ და ლოგინი.

ოსტროვსკი, გისერვიტი, ულენ კარგვლიოთეკა

საქალაქო ფაბრიკა უშვებს ტაბილეულის ახალ ასორტიმენტს

სიყვარულიც „სოიუზტრანსის“! ხარჯზე

— როგორ უძლებენ, პირდაპირ გაკვირვებას ვარ! სად აქვთ ამდენი ენერგია?!

— უყვართ ძმავ, თავისი საქმე! ასეთი პატიოსანი მუშაკები დასაჯილდოებელნი არიან სწორედ.

— დამკვრელები არიან, ნამდვილი დამკვრელები, — დასძენდა თავის მხრივ ადგილკომის მუშაკი როცა „სოიუზტრანსის“ საბარგო სადგურის ადმინისტრატორები ზემოდმოყვანილ დიალოგს გაგაბამდენ.

ვის ებრალებდენ „სოიუზტრანსის“ საბარგო სადგურის ქეთისკოლოფები?

საბარგო განყოფილების მოლარეებს: **დმიტრი ვარდენის-ძე მაჭავარიანს და ნიკოლოზ გორგიზ-იე ედეკანაშვილს.**

ამთავი სულ სხვანაირი საუბარი ჰქონდათ ერთმანეთს შორის.

— ჩემო დიმიტრი! აქ მაინც ძაღლი პატრონს ვერ ცნობს! სულ ერთია, ჩვენ რომ არ ვეცემოთ, სხვა შეეცემა... აწი და ჩვენ ვეცემოთ ჩვენი „ნაოფლარი“.. სხვას რად შევაეცემოთ!?

— მართალი ხარ, ნიკოლოზ! მე აქამდე მინდოდა შენთან ამის თამაბაზე ჩამომეგდო ლაპარაკი, მაგრამ ვერ ვბედავდი.. ხომ იცი, რა ძნელია ახლა სანდო კაცის ნახვა, თავის თავს არ უნდა ენდო.

—ოლონდ, ეს უსათუოდ უნდა დაიხსომო... ჩვენ თვალის ასახვევად თავს ვაცხადებთ დამკვრელებად.. მოვდიოთ სალამოობითაც... გამოსასვლელ დღეებშიაც ხშირად შემოვალთ ხოლმე.. ისე, ყასიდად.

— რატომ ყასიდად? ჩვენი საქმე ვაკეთოთ

ისინი მართლაც დამკვრელობის კორიანტელს აყენებდენ „სოიუზტრანსის“ საბარგო განყოფილებაში.

ღამით კი გააჭოლებდენ ეტლს ტფილისის გარეთ, ჩაჯდებოდენ სარდაფში, ქეიფობდენ „სოიუზტრანსის“ ხარჯზე გათენებამდე და თან იმღერდენ „შენც დამკვრელი მეც დამკვრელიო“...

საბარგო განყოფილების მესეფურები ქეცა - დიდებით იხსენიებდენ მათ, აჯილდოვებდენ კიდეც, როგორც დამკვრელებს. ხოლო ისინი კი დუდუკზე და ზურნაზე „დამკვრელებს“ უხვად ასაჩუქრებდენ „სოიუზტრანსის“ ფულებით.

როდის დაიკვეთ ამ „თავდადებულო“ მუშაკთა ეკონომიურობაში?

მაშინ, როდესაც დიმიტრი მაჭავარიანმ პატივისცემის მორიგში შეიყვანა ერთ-ერთი თანამშრომელი, თანამოლარე „ბანოვანი“, რომელსაც ხშირად ხედავდენ მასთან ეტლში. ეჭვი განსაკუთრებით გაძლიერდა, როდესაც „ბანოვანმა“ ყველა თანამოსამსახურე ქალს გაუსწორო „მოდაში“, „ფასორში“ ტანსაცმლის და სხვათა მრავალთა შეძენაში. დაიწყო მითქმა-მოთქმა.

ამას კიდევ მოლარეების ოჯახთა თავზრუდამხვევი მატერიალური პროგრესი დაემატა ზედ და მხოლოდ შემდეგ დაინიშნა რევიზია.

ბევრი რამ გამოირკვა.

გამოირკვა, რომ საღამოობით და გამოსასვლელ დღეებში ჩვენი „დამკვრელები“ მუშაობდენ ყალბი საბუთების კეთებაზე. კლიენტების მიერ ბარგის გადასაზიდად გადახდილი თანხა სანახევროდ არ შეჰქონდათ სალაროში, ცალკიდენ ქეთრიებს, ასწორებდენ და სხვ... ამაში მათ ხელს უწყობდა „სოიუზტრანსის“ საბარგო განყოფილებაში გამეფებული ბაუპირობენება, უპასუხისმგებლობა და უკონტროლობა.

გამოირკვა, რომ კარგი „ბიჭების“ და კარგი „მუშაკების“ სახელის მოსახვეჭად თავის თანამშრომლებს შორის ისინი ხშირად უმასპინძლდებოდენ მათ „სოიუზტრანსის“ სალაროს ხარჯზე, დაუბრუნებელი სესხებსაც აწევდენდენ მათ და წარმოიდგინეთ, სიყვარულიც კი ზემოდ **დასახელებულ** „ბანოვანთან“ მაჭავარიანს განუმტკიცებია „სოიუზტრანსის“ ხარჯზე.

ორივე „დამკვიოლს“ გაფლანგული აქვს 20.000 მანეთზე მეტი. მათ ამ დღეებში გასამართლებს საქ. უზენაესი სასამართლო.

ზერ.

ჭადრაკი

ა.-ჯ. საქალაქთაშორისო შეჯიბრება ჭადრაკსა და შაშში

წელს სრულდება საბჭოთა კავშირის საქადრაკო-საშაშო ორგანიზაციების არსებობის ათი წლისთავი, ოომლის აღსანიშნავად ოქტომბერში ქ. მოსკოვში მოწვეულია მორიგი ყრილობა და გაიმართება მთელი რიგი შეჯიბრებები ჭადრაკსა და შაშში. ამჟამად ა.-კავკასიის საქადრაკო-საშაშო სექტორი აწყობს ა.-ჯ. საქალაქთაშორისო შეჯიბრებას ჭადრაკსა და შაშში. მონაწილეობას ღებულობენ: ბაკოს, ერევნის, ლენინაკანის, განჯის, ტფილისის ბათომის, სოხუმის და სხვ. ქალაქების წარმომადგენლები. სულ მონაწილეობას მიიღებს 20 მოჭადრაკე და 12 მოშაშე. თამაში იწარმოებს ორ ჯგუფად. ჯგუფში იქნება 10 კაცი. თითეულ ჯგუფიდან სამ-სამი გამარჯვებულნი შეადგენენ ფინალს რომელიც საბოლოოდ გამოარკვევს პირველობის საკითხს. პირველი ორი გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს ა.-ჯ. მოჭადრაკეთა მორიგ, მეოთხე ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდება აგვისტოში ქ. ტფილისში. საქალაქთაშორისო შეჯიბრების საზეიმო გახსნა მოხდება ივლისს, 10 ივნისს, საღ. სრულ 8 საათზე ცენტრ. საქადრაკო კლუბში. ტფილისიდან მონაწილეობას მიიღებენ: **გამბარაშვილი, ფალავანდიშვილი** და **შიშოვი,** კანდიდატია **ფირცხალავა.**

თამაში წარმოებს ყოველდღე დილის 10-დან 2 საათამდე და საღ. 7-დან 11 საათამდე.

დალი

რეზოლუციის ინფორმაციისა ან ბიულეტენი

საუბილეო საზეიმო წარმოდგენები		
დღეს	11 ივნისს	12 ივნისს
„ლამარა“	„რლვევა“	„In tirannos“

ალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 6-30, 8 9-30, 11	ბრძოლი ფილმი „ციხეზარი ეძებრესი“
დამკვრელი საზაფხ. [illegible]	ახალი ფილმი „მეფის მეზღვაურები“
დამკვრელი საზამთ. 3-30, 4-30, 10-30 ფოიერში [illegible]	
ეთერი საზაფხ. 9, 11	საზღვარგარეთის კომედია „ნ ე ბ ტ უ ნ ი“
ტ ე ბ ბ ი (საზამთ.) [illegible] 9, 11 (საზაფხ.)	„უმცროსი შვილი“ გაროლდ ლოიდის მონაწ.
„ჯნ“-ის სახ. [illegible] 15, 10.	ახატვრ. სურათი „უუუუნას მზითევი“
რ. ლიუძესმბურგის სახელობის 7, 7, 11	ნძოვანი ფილმი ჰექა-ძუხილი“ უკანა ენული დღეები ქარა წავა: „ანკარა ომალეთის გულია“
„კომინტერნი“ საზაფ. (დიდუბე) 7, 11	მხ. ლვრ ფილი „ც ო ლ ი“

მ ა ლ ე

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი მხატვრული ფილმი

„ეფემერი“

მ. დადიანი და ბ. ღოლ ბერიძის აცეცარი რეჟისორი—ნინა ღოლ ერიძე. ოპერატორი—შ. ა[illegible]ძე. ახატვრ[illegible]ოცირიძე. მთავარ როლებში: სახალხო ბ[illegible] ხეობი ნუცა ჩხეიძე [illegible]ახიობი ნ. ჟორ[illegible] ჟოლაძე, ჩიქოვანი, ჯაოშვილი და სხვ. ნ. 240 1—1

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული მუშა-ძალის შეკრების მომწესრიგებელი კომისია აცალებს დამატებით მუშა-ძალის შეკრებით დაინტერესებულ

სამეურნეო ორგანიზაციებს,

არა უგვიანეს ეს ა/წ. 0 ივნისისა წარმოადგინონ მესაზუ კვარტალის მუშა-ხელის დამატებ[illegible]ით მოთხ[illegible]ილებაზე დასუსტებული გაცაცხადები [illegible]რსებული ფორმებ[illegible]ის და წესების დაცვით.

ის ორგანიზაცია, რომელიც არ წარ[illegible]ოდ[illegible]ეს დანიშნულ ვადამდე თავის განაცხადს, შეტანილი არ იქნება მუშა-[illegible]ლის განაწილების ჯგუფში და არ მ[illegible]ეცემა დამატებითი მუშა-ძალის შესაკრებათ სათანადო ნებართვა.

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული მუშა-ძალის შეკრების მომწესრიგებელი კომისია 1—1 ნ. 244

ა.-კ. მაცივარცენტრი

ა.-ჯ. მომარაგების სახ. კომისარიატის 1934 წლის 21 მაისის ბრძანების № 198 განსაზღვრულად 1934 წლის 1 ივნისიდან ქმნის

საპროექტო ბიუროს,

რომელიც დააპროექტებს ყინულმარილიან და ყინულის ტიპის წვრილ სამაცივრო დანადგარებს მცირე ობიექტებისა, ძალუმუშებადი პროდუქტების საწყობებისათვის და [illegible] სხვ. [illegible]ოდეთ წვრილ სამაცივრო დანადგარებს და მანქანებით მაცივებელ ყინულის ქარხნებს.

ვისაც სურს პროექტების მიღება, უნდა დასდოს ხელშეკრულება ა.-ჯ. მაცივარცენტრის საპროექტო ბიუროსთან—ქალ. ტფილისი, ჯორჯიაშვილის ქ. № 22

3—2 ნ. 237. **ა.-ჯ. მაცივარცენტრი**

ე ბ ი ბ ი

ვ. უ. ბოსეიზერ ძირუბგზული ხნეულებანი

ილება საღ. 5—7 საათამდე.

[illegible]ისამართი—გრიბოედოვის ქ. № 19

ეძახ ბ. ლილბანეფი

[illegible]ეციალ